

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი



მაგისტრანტი: ლაშა მოდეზაძე

სამაგისტრო ნაშრომი: „კერძო სამართლის იურიდიული პირების  
რეორგანიზაციის თავისებურებები“

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია: სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა  
და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, საჯარო მმართველობის  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

ასოცირებული პროფესორი: ალექსანდრე ჩხიტაური

ქ. გორი 2021

## რეზიუმე

სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იურიდიული პირების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციების შესწავლა და გაანალიზება, მისი მიზანია აღნიშნული იურიდიული ფაქტის თავისებურებების წარმოჩენა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.

საზოგადოების უმრავლესობის ინტერესებშია შექმნას ან ჩაერთოს ისეთ საქმიანობაში, რომელსაც სტაბილური და მზარდი შემოსავალი ექნება. სწორედ ამიტომ კერძო პირები აყალიბებენ ბიზნესებს და ცდილობენ დაიმკვიდრონ თავი ბაზარზე, გახდნენ მაქსიმალურად ცნობადები და უმოკლეს პერიოდში ჰქონდეთ გაზრდის პერსპექტივა. ყოველივე ეს დაკავშირებულია სპეციფიკურ დაგეგმვაზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პუნქტს, აღნიშნულ პუნქტებს გააჩნიათ ქვეპუნქტებიც, რომლებიც არანაკლებ გასათვალისწინებელია. ცხადია, ერთ-ერთი წამყვანი როლი ამა თუ იმ საქმიანობის წამოწყებისას სამართლებრივი პუნქტების დაცვას უჭირავს, რაც რეალურად, ამა თუ იმ პირს აკისრებს მთელ რიგ პასუხისმგებლობას კანონის წინაშე.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში იურიდიული პირი რეორგანიზაციის საფუძველზე იქმნება ან განიცდის ლიკვიდაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, როგორც იურიდიული ფაქტის განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ყოველივე ამის საფუძველზე კი სამაგისტრო ნაშრომში მოცემულია კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნების, სამართლებრივი ფორმების, მათი დაფუძნების, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმების უფრო სიღრმისეული გაანალიზება და ფართო თეორიულ-მეცნიერული დამუშავება.

ნაშრომი წარმოდგენილია, ხუთი ნაწილისაგან, რომლებიც ჩაშლილია თავებად და ქვეთავებად. I და V ნაწილები შესავალი და დასკვნაა, ხოლო ძირითადი კვლევა მოცემულია II –IV ნაწილებში.

II ნაწილში გადმოცემულია კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნება, მათ დაფუძნებასა და ლიკვიდაციასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები.

III ნაწილი ეთმობა კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმებს, რომლებიც ჩაშლილია თავებად. სადაც განხილულია თითოეული ფორმა და მათთან დაკავშირებული სტანდარტები.

IV ნაწილში მოცემულია კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაცია, როგორც სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა) - სთან დაკავშირებული რეგულაციები ასევე საწარმოს შერწყმისა და გამოყოფის შედეგად მიღებული რეორგანიზაცია.

სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს, დასკვნის სახით, შემოთავაზებულია კვლევის შედეგები.

## Resume

The aim of master's thesis is to study and analyze the existing regulations related to the reorganization of legal entities, its aim is to study and analyze the existing regulation of legal entities, its aim is to present the peculiarities of this legal fact taking into account the changes made in the legislation of Georgia.

The major interest to create activities is to have a stable and growing income. That's why private individuals are forming business sector and they are trying to establish themselves in the market. All of these need specific planning. Clearly, one of the leading roles in the initiation of this activity is to protect the legal points.

The topical of the master's thesis stems from the fact, that in many cases a legal entity is created on the basis of reorganization or liquidated as a result of reorganization. According to the above mentioned the consideration of the reorganization of legal entities under private law as a legal fact is of special importance.

Based on all this the master's thesis gives the concepts of legal entities of private law, covering their forms, more in-depth analysis of the following norms of liquidation and reorganization, and extensive theoretical-scientific elaboration.

The paper is presented, in five parts, broken down into chapters and subsections. Parts I and V are the introduction and conclusion, and the main research is given in parts II-IV.

Part II sets out the concept of legal entities under private law, the existing regulations regarding their establishment and liquidation.

Part III deals with the legal forms of a legal entity under private law, which are broken down into chapters. Where each form and related standards are discussed.

Part IV deals with the reorganization of legal entities under private law, as well as the regulations related to the change of the legal form, as well as the reorganization obtained as a result of the merger and separation of the enterprise.

At the end of the master's thesis research results are represented.

## სარჩევი

I შესავალი .....	4
II კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნება, მათი დაფუძნება და ლიკვიდაცია	4
§1. იურიდიული პირის ცნება.....	4
§2. იურიდიული პირის დაფუძნება.....	7
§3. იურიდიული პირის ლიკვიდაცია.....	11
III. კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმები.....	16
§1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება .....	16
§2. კომანდიტური საზოგადოება .....	20
§3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება .....	23
§4. სააქციო საზოგადოება .....	36
§5. კოოპერატივი .....	56
§6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი .....	63
IV. კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაცია .....	65
§1. სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა).....	65
§2. საწარმოთა შერწყმა .....	69
§3. საწარმოთა გაყოფა .....	70
სამეცნიერო ლიტერატურა:.....	75

## I შესავალი

საქართველოში საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი მეწარმეობის განვითარებამ, სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან ერთად, დღის წესრიგში დააყენა საკანონმდებლო ბაზაში იმ ცვლილების განხორციელება, რომელიც ქვეყანაში ჩამოყალიბებული შერეული ეკონომიკური სისტემის ადეკვატური იქნებოდა. `მეწარმეთა შესახებ` საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღებისა და ძალაში შესვლის დღიდან აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. კანონმდებელმა ახლებურად განსაზღვრა ბევრი საკითხი, რომელიც ეხება კერძო სამართლის იურიდიულ პირებს და მათ რეორგანიზაციას.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ხშირ შემთხვევაში, იურიდიული პირი რეორგანიზაციის საფუძველზე იქმნება ან განიცდის ლიკვიდაციას. აღნიშნულის გათვალისწინებით, კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის, როგორც იურიდიული ფაქტის, განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომი „კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის თავისებურებები“ წარმოადგენს კვლევასა და ანალიზს იურიდიული პირების რეორგანიზაციასთან დაკავშირებით და მისი მიზანია აღნიშნული იურიდიული ფაქტის თავისებურებების წარმოჩენა საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით. ყოველივე ამის საფუძველზე კი მისი ამოცანაა კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნების, სამართლებრივი ფორმების, მათი დაფუძნების, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მომწესრიგებელი ნორმების უფრო სიღრმისეული გაანალიზება და ფართო თეორიულ-მეცნიერული დამუშავება.

გადმოცემული საკითხები გამოკვლეულია შედარებით-სამართლებრივი და ლოგიკური ანალიზის სინთეზის საფუძველზე, რათა უკეთ წარმოჩნდეს იურიდიული პირების რეორგანიზაციის თავისებურებები.

## II კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნება, მათი

### დაფუძნება და ლიკვიდაცია

#### §1. იურიდიული პირის ცნება

იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი,

რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ. იგი შეიძლება იყოს კორპორაციულად ორგანიზებული, წევრობაზე დაფუძნებული, წევრთა მდგომარეობაზე დამოკიდებული ან მისგან დამოუკიდებელი და მისდევდეს ან არ მისდევდეს მეწარმეობას.

საქმიანობის მიზნის მიხედვით შესაძლებელია იურიდიული პირების დაყოფა სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებად.<sup>1</sup>

სამეწარმეო იურიდიული პირი (საწარმო) სამეწარმეო საქმიანობაში მეწარმეთა ორგანიზაციის უნივერსალური ფორმაა. იგი არის როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, ასევე ამ ურთიერთობათა ობიექტიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საწარმო არის საწარმოო-სამეურნეო და სოციალური სისტემა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს განსაზღვრული სახის საქონლით (სამუშაოთი, პროდუქციით, მომსახურებით) საზოგადოებაში არსებული საჭიროებების, მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ამის საფუძველზე მოგების მიღება, ასევე სამუშაო ადგილების შეთავაზება, რაც თავის მხრივ ადამიანთა მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს.

იურიდიულ მეცნიერებაში საწარმოს დეფინიცია ყალიბდება მისი ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრით. კერძოდ:

- ა) ორგანიზაციული ერთიანობა, რაც ნიშნავს რომ საწარმოს აქვს საკუთარი სტრუქტურა და ორგანიზაცია;
- ბ) საწარმოს მიზანი, რაც გამოიხატება მოგების მიღებაში და საზოგადოებრივი საჭიროებების, მოთხოვნებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. რაც უფრო მეტად აკმაყოფილებს საწარმო საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, მით მომგებიანია მისი საქმიანობა. საწარმოების წარმატებული საქმიანობა კი განაპირობებს კონკურენციის არსებობას, ასევე გარკვეულწილად ხელს უწყობს ისეთი სოციალური

---

<sup>1</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ 2002.

პრობლემების მოგვარებას, როგორცაა უმუშევრობა. საწარმოთა შორის ძლიერი კონკურენცია პირდაპირ არის დაკავშირებული მაქსიმალურად დაბალ ფასებში, არსებული მოთხოვნილებების ადეკვატურად, ხარისხიანი პროდუქციის ან/და მომსახურების მიწოდებასთან;

გ) საწარმოს ამოცანა \_ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება პროდუქციის დამზადების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის სფეროში;

დ) საწარმოს სამეურნეო დამოუკიდებლობა, რაც ნიშნავს იმას, რომ საწარმო აბსოლუტურად დამოუკიდებელია სამეწარმეო საქმიანობის სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას;

ე) საწარმოს ქონებრივი დამოუკიდებლობა. აქ იგულისხმება საწარმოს განსაზღვრული ქონება, რომელიც მისი სამეწარმეო საქმიანობის ეკონომიკურ ბაზას წარმოადგენს;

ვ) საწარმოს გააჩნია საფირმო სახელწოდება, რაც მისი ინდივიდუალიზაციისა და იდენტიფიკაციის საშუალებაა.

საწარმოთა სამართლებრივი ფორმების განსაზღვრისას კანონი მიმართავს "ნუმერუს კლაუსუს"-ის პრინციპს (სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია საწარმოთა მხოლოდ ის ფორმები, რომლებიც კანონითაა გათვალისწინებული). "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ძალაში შესვლამდე, მოქმედი კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ არ იცნობდა აღნიშნულ პრინციპს. მართალია, იგი მე-11 მუხლში განამტკიცებდა საწარმოთა ათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, მაგრამ იქვე მიუთითებდა, რომ შესაძლებელი იყო სხვა ფორმის საწარმოების არსებობაც, რომლებიც არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას.

მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი იცნობს ხუთი სამართლებრივი ფორმის მქონე სამეწარმეო იურიდიული პირს: სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს), კომანდიტური საზოგადოება (კს), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), სააქციო საზოგადოება (სს) და კოოპერატივი.

სამეწარმეო იურიდიული პირები პირობითად ამხანაგობის და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებად იყოფიან. პირველ ჯგუფს ეკუთვნის

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კომანდიტური საზოგადოება. მათში ნდობის ელემენტს გაცილებით უფრო პრიორიტეტული ადგილი უკავია. მეორე ჯგუფს კი ეკუთვნის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი, სადაც პრიორიტეტულია პარტნიორთა მიერ შესატანების (კაპიტალის) განხორციელება.

ამხანაგობასა და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს აქვთ როგორც მსგავსი, ისე განსხვავებული ნიშნები. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ტიპის საზოგადოება წარმოადგენს სამეწარმეო ორგანიზაციას, რომელთა მთავარი მიზანია მოგების მიღება და მისი განაწილება პარტნიორთა შორის. ისინი გვევლინებიან რა კერძო სამართლებრივი უთიერთობის სუბიექტებად, უფლებამოსილნი არიან განხორციელონ ნებისმიერი მართლზომიერი სამეწარმეო საქმიანობა. მათ გააჩნიათ განკერძოებული ქონება, რომელთა ერთადერთ მესაკუთრედ თავად საწარმოები წარმოადგენენ.

რაც შეეხება მათ შორის არსებულ განსხვავებებს, მნიშვნელოვანი განსხვავება პასუხისმგებლობის მოცულობაშია. კაპიტალურ საზოგადოებათა პარტნიორების პასუხისმგებლობა მხოლოდ მათ მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობით განისაზღვრება. მაშინ როცა ამხანაგობის მონაწილენი (გარდა კომანდიტისა) პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

## §2. იურიდიული პირის დაფუძნება

კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის რეგისტრაციას გადამწყვეტი იურიდიული ფაქტის მნიშვნელობა აქვს. რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება არსებობს, თუ სარეგისტრაციოდ წარდგენილი საბუთები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და რეგისტრაციისათვის წარდგენილი იურიდიული პირის მიზნები არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს, აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს ან საქართველოს კონსტიტუციურ-სამართლებრივ პრინციპებს.

კერძო სამართლის იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების



რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. აღნიშნულ რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (მარეგისტრირებელი ორგანო).

იურიდიული პირის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. მისი რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებელი ორგანოს ვებგვერდზე განთავსება.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. განცხადებას უნდა დაერთოს იურიდიული პირის ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო დოკუმენტი (წესდება/წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს: ა) იურიდიული პირის სახელწოდება; ბ) მონაცემები იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ; გ) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი; დ) მონაცემები იურიდიული პირის დამფუძნებლის შესახებ (ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – სრული სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაციის რეკვიზიტები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები); თითოეული დამფუძნებლის შესახებ მონაცემები შეიტანება ცალ-ცალკე; ე) მონაცემები იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ორგანოების) შესახებ; ვ) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა; ზ) მონაცემები იურიდიული პირის

ხელმძღვანელი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი); თ) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა; ი) იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, მისი არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა; კ) მონაცემები წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შესახებ (სახელი, გვარი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), დაბადების ადგილი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, პირადი ნომერი); ლ) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია; მ) რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა.

რეგისტრაციის შესახებ განცხადებას აგრეთვე უნდა დაერთოს: ა) მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბ) ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი გამოიყენებს საქმიან ურთიერთობებში; გ) ცნობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ადგილსამყოფლის (იურიდიული მისამართის) შესახებ – ადგილსამყოფლის მესაკუთრის სანოტარო წესით დადასტურებული თანხმობა ან ადგილსამყოფლით სარგებლობის თაობაზე დადგენილი წესით გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება.<sup>2</sup>

სამეწარმეო იურიდიული პირის (საწარმოს) რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებული პირი საწარმოს რეგისტრაციის შესახებ განცხადებას წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს. განცხადებას უნდა დაერთოს საწარმოს ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული წესდება (პარტნიორთა შეთანხმება), რომელშიც სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს: ა) საწარმოს სახელწოდება/საფირმო

---

<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 29.

სახელწოდება; ბ) საწარმოს სამართლებრივი ფორმა; გ) საწარმოს იურიდიული მისამართი; დ) საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ; ე) საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ; ვ) ყველა იმ შეზღუდვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას; ზ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში – აღნიშვნა, რომელი პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული.

საწარმოს რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო განცხადებასთან, წესდებასთან (პარტნიორთა შეთანხმებასთან) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნეს დოკუმენტი, რომელშიც მიეთითება საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, პროკურისტის სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს, უნდა მიეთითოს, ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე. დოკუმენტს ხელს აწერენ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები, რაც დამოწმებული უნდა იქნეს სანოტარო წესით. დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, პროკურისტის დანიშვნაზე უფლებამოსილი პირები მას ხელს მარეგისტრირებელ ორგანოში აწერენ. რეგისტრაციისათვის ასევე წარდგენილი უნდა იქნეს ხელმძღვანელობაზე

უფლებამოსილი პირის ხელმოწერის ნიმუში, რომელსაც ის სამართლებრივ ურთიერთობებში გამოიყენებს. ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით ან ხელმოწერა უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში.

თუ საწარმოს პარტნიორი, ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ წარადგენენ შესაბამისად საქართველოს მოქალაქისათვის ან საქართველოში რეგისტრირებული საწარმოსათვის დადგენილ ეკვივალენტურ მონაცემებს. უცხო ქვეყნის იურიდიული პირის შემთხვევაში მისი იურიდიულ პირად რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს სათანადო წესით.

საწარმოს რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია, ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილი იქნეს საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

რეგისტრაციის მიზნებისათვის კაპიტალის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ მოითხოვება.<sup>3</sup>

იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

### §3. იურიდიული პირის ლიკვიდაცია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მისი წესდებით განსაზღვრულ შემთხვევებში, მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმების შემთხვევაში.

---

<sup>3</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.

ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

პარტნიორთა გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს სარეგისტრაციო განაცხადით განსაზღვრავენ იურიდიული პირის დამფუძნებლები. თუ დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ. სამოქალაქო კოდექსი კრძალავს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილებას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

კანონმდებლობა ითვალისწინებს იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისების შესაძლებლობას, თუ: ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას; ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს; გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები). განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა ლიკვიდატორის დანიშვნის მოთხოვნით. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორი. აკრძალულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე.

ლიკვიდაციის დასრულების შემთხვევაში მარეგისტრირებელი ორგანო ვალდებულია გააუქმოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია.<sup>4</sup>

საწარმოს პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ. პარტნიორებს, ასევე წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან დირექტორს (დირექტორებს), შეუძლიათ განსაზღვრონ ის პირები, რომლებიც ახორციელებენ ლიკვიდაციას. პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დაწყების შესახებ, რის შემდეგაც იწყება კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესი. გადაწყვეტილება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან, რის თაობაზედაც

---

<sup>4</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 38.

მარეგისტრირებელი ორგანო დაუყოვნებლივ აცნობებს საგადასახადო ორგანოს.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს ინფორმაცია, სადაც მიეთითება საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციისთანავე საწარმოს პარტნიორებმა საწარმოს ყველა ცნობილ კრედიტორს უნდა გაუგზავნონ წერილობითი შეტყობინება ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ, რომელშიც უნდა აღნიშნოს კრედიტორთა დაკმაყოფილების ვადები. საწარმოს ქონების რეალიზაციის დაწყებამდე საწარმო ვალდებულია ნებისმიერ პირს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საწარმოს ცნობილ კრედიტორთა დაზუსტებული სია. საწარმოს შეუძლია აღნიშნული დაზუსტებული სია გამოაქვეყნოს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 90-ე დღისა საწარმომ ან ლიკვიდატორმა უნდა დაიწყოს ამ საწარმოს ქონების რეალიზაცია საბაზრო ფასით ან აუქციონის წესით და ამგვარი რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები განათავსოს სასამართლოს ან ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. თუ პარტნიორებმა გადაწყვიტეს ქონების ნატურით გაყოფის გზით განაწილება, ისინი ვალდებული არიან ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ნატურით გაყოფამდე საკუთარი ხარჯებით შეინარჩუნონ ქონება პირველადი სახით ერთ-ერთი პარტნიორისათვის მიბარების გზით. დეპოზიტზე განთავსებული თანხების ან მიბარებული ქონების პარტნიორთა შორის განაწილებამდე აღნიშნული თანხების ან ქონების განკარგვა შესაძლებელია მხოლოდ კრედიტორთა დაკმაყოფილების მიზნით. ამასთან ლიკვიდაციის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე კრედიტორები უფლებამოსილი არიან, საწარმოს მოსთხოვონ ნაკისრ ვალდებულებათა ვადაზე ადრე შესრულება.

კრედიტორთა დაკმაყოფილების პროცესის დასრულების შემდეგ პარტნიორები საერთო კრებაზე ამტკიცებენ საწარმოს სალიკვიდაციო ბალანსს და ხელს აწერენ გადაწყვეტილებას საწარმოს ლიკვიდაციის დასრულების შესახებ, რომელშიც უნდა აღნიშნოს საწარმოს ყველა ცნობილი კრედიტორის დაკმაყოფილების თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემაში ან მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებაში.

საწარმოს ლიკვიდაციის რეგისტრაციას და საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილი პირის მიერ საწარმოს ლიკვიდაციის თაობაზე განცხადებისა და საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ გადაწყვეტილების წარდგენის საფუძველზე. ლიკვიდაციის თაობაზე განცხადება უნდა შეიცავდეს: ა) საწარმოს სახელწოდებას; ბ) საწარმოს იურიდიულ მისამართს; გ) ყველა პარტნიორის პირად მონაცემებს; დ) საწარმოს ლიკვიდატორის პირად მონაცემებს და ხელმოწერას.

თუ საწარმოს რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ 3 თვის განმავლობაში აღმოჩნდება, რომ ლიკვიდაციისას არ იქნა დაკმაყოფილებული საწარმოს კრედიტორთა ნაწილი, მათი დაკმაყოფილება მოხდება ზემოაღნიშნული დეპონირებული თანხებიდან ან ქონებიდან. აღნიშნული 3-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ დეპონირებული თანხები ან ქონება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის პროპორციულად, თუ წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით) სხვა რამ არ არის დადგენილი.

საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა.

თუ საწარმო რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციის პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მას, მარეგისტრირებელი ორგანო ხარვეზის გამოსასწორებლად აძლევს ხარვეზის აღმოჩენიდან 30-დღიან ვადას, რის თაობაზედაც მიეთითება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ხარვეზის გამოსწორების ვადაში მეწარმეთა და არასამეწარმეო



(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერში აისახება შენიშვნა საწარმოსათვის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ. ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა ან შეუძლებელია მისი გამოსწორება, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების მოთხოვნით. ამ შემთხვევაში სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს, რომელიც ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილ პროცედურებს.<sup>5</sup>

იურიდიული პირის ლიკვიდაციის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე იურიდიული პირის ლიკვიდაციას ახორციელებს სასამართლოს მიერ განსაზღვრული პირი. ლიკვიდაციისას გამოიყენება „გადახდისუნარიობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმები. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყების მომენტიდან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე ან სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტამდე დაუშვებელია იურიდიული პირის მიმართ სალიკვიდაციო და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული პროცედურების წარმოება.<sup>6</sup>

### **III. კერძო სამართლის იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმები**

#### **§1. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

---

<sup>5</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14.

<sup>6</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 14<sup>1</sup>.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დაფუძნდეს ორი ან მეტი პირის შეთანხმებით. შეთანხმების პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში. ამ სამართლებრივი ფორმის მქონე საზოგადოების მიზანია ორი ან მეტი პირი ერთად ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას საერთო საფირმო სახელწოდებით. ამასთან, საზოგადოების თითოეული წევრის საქმიანობა განიხილება როგორც მთელი საზოგადოების საქმიანობად. საზოგადოების ვალდებულებებისათვის, მთელი თავისი ქონებით, პასუხს აგებს მისი ყოველი წევრი – პარტნიორი. სწორედ ამიტომ ურთიერთობები ამ სამართლებრივი ფორმის საზოგადოების პარტნიორებს შორის აიგება განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე. შესაძლოა საზოგადოების სახელით გარიგება დადოს ერთმა პარტნიორმა, რისი უფლებაც კანონით ყველა პარტნიორს აქვს, ხოლო ქონებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს სხვა პარტნიორს, თუ პირველს სათანადო ქონება არ გააჩნია. კრედიტორს უფლება აქვს ვალდებულების შესრულება მოსთხოვოს ერთ-ერთ პარტნიორს, ხოლო გადახდის შემდეგ კი ამ უკანასკნელს უფლება ეძლევა რეგრესული მოთხოვნა წაუყენოს სხვა პარტნიორებს იმ წილის პროპორციულად, რაც თითოეულ მათგანს საწესდებო შეთანხმების შესაბამისად, მოგებიდან უნდა მიეღო. პასუხისმგებლობის ამგვარი წესის თავისებურებიდან გამომდინარე, ყოველი პარტნიორის ქონება საზოგადოების შესაძლო კრედიტორების მოთხოვნათა უზრუნველყოფის საიმედო გარანტიაა. ვინაიდან სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება იურიდიული პირია, კრედიტორი უფლებამოსილია ვალის გადახდის მოთხოვნა თავდაპირველად წაუყენოს მთელ საზოგადოებას, ხოლო გადახდის შეუძლებლობის შემთხვევაში – კონკრეტულ კრედიტორს.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების თანახმად, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები.

იმის გამო, რომ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობები აგებულია განსაკუთრებული ნდობის საფუძველზე, ამ სახის საზოგადოებაში ყალიბდება მართვის თავისებური წესი. მართვის ერთ-ერთი სავალდებულო ორგანო – პარტნიორთა კრება მოიწვევა მხოლოდ მაშინ, როცა მისაღებია საზოგადოებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის წესი ითვალისწინებს არა რომელიმე ორგანოს, არამედ ყოველი უფლებას მოიწვიოს პარტნიორთა კრება, თუ მას წესდების მოთხოვნათა გათვალისწინებით კრების მოწვევა მიზანშეწონილად მიაჩნია. კრება უნდა დაინიშნოს ინიციატორი პარტნიორის მიერ წერილის გამოგზავნიდან არაუადრეს ერთი კვირისა. წერილი უნდა შეიცავდეს მითითებას დღის წესრიგზე, რომლის მიხედვითაც ადრესატი – პარტნიორი თავისი შეხედულებით იღებს გადაწყვეტილებას კრებაზე დასწრების შესახებ. იგი უფლებამოსილია მოწვევის მიღებიდან სამი დღის ვადაში აცნობოს ინიციატორ პარტნიორს კრების დღის წესრიგში დამატებების შეტანის თაობაზე. კრება უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები თუ მას ესწრება საზოგადოების პარტნიორთა ნახევარზე მეტი. თუ სხდომაზე დამსწრეთა საკმარისი რაოდენობა ვერ შეიკრიბება, ინიციატორ პარტნიორს უფლება აქვს ზემოაღნიშნული წესითა და იმავე დღის წესრიგით ხელახლა მოიწვიოს პარტნიორთა კრება. ამ შემთხვევაში მეორედ შეკრებილი კრებისათვის არ არის სავალდებულო პარტნიორთა უმრავლესობის გამოცხადება.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვისათვის საჭიროა პარტნიორთა საერთო თანხმობა. საზოგადოება ყველა გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო თანხმობით. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, როცა საზოგადოებას უფლება ეძლევა გადაწყვეტილება მიიღოს პარტნიორთა არა საერთო, არამედ უმრავლესობის თანხმობით. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოების წესდებით, მაგრამ წესდებით არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს

გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა უმრავლესობის მიერ და პარტნიორთა საერთო თანხმობაა საჭირო, თუ ასეთ გადაწყვეტილებებზე პირდაპირ მიუთითებს კანონი, თუ გადაწყვეტილების შედეგად საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორი სხვებთან შედარებით არათანაბარ უფლებრივ მდგომარეობაში არ აღმოჩნდება ან მოსალოდნელი გადაწყვეტილება არ ხელყოფს პარტნიორის არსებით ქონებრივ ან არაქონებრივ ინტერესებს.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყველა წევრს უფლება აქვს წარუძღვეს საწარმოო საქმეებს დამოუკიდებლად და საკუთარი შეხედულებისამებრ. საწარმოო საქმეების წარმართვაში ანუ საზოგადოების ხელმძღვანელობაში იგულისხმება საზოგადოების სახელით მონაწილეობა სამოქალაქო ბრუნვაში – გარიგების დადება, განკარგულების გაცემა და ა. შ. ეს წესი არ გამორიცხავს იმას, რომ საზოგადოების წესდებით თავიდანვე განისაზღვროს პარტნიორები, ვისაც საზოგადოების ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობები დაეკისრება. თუ წესდებით გათვალისწინებულია, რომ პარტნიორები საქმეებს წარმართავენ ერთობლივად, ყოველი გარიგების დადებისათვის საჭიროა საზოგადოების ყველა პარტნიორის თანხმობა. თუ საქმეთა წარმართვა წესდებით ეკისრება ერთ ან რამდენიმე პარტნიორს, დანარჩენი პარტნიორები მოვალენი არიან გარიგებათა დადებისათვის აღიჭურვონ უფლებამოსილი პარტნიორების მინდობილობით.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძვლებია: ა) იმ ვადის გასვლა, რა ვადითაც იგი შეიქმნა; ბ) პარტნიორთა გადაწყვეტილება; გ) საზოგადოების საბანკროტო წარმოების გახსნა; დ) სასამართლოს გადაწყვეტილება.

კანონი ითვალისწინებს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ლიკვიდაციის ზემოაღნიშნულ ოთხ საფუძველს. საზოგადოების შეწყვეტის მოთხოვნის უფლება აქვთ ასევე პარტნიორთა პირად კრედიტორებსაც, რომლებიც მიზნად ისახავენ მიიღონ დაკმაყოფილება იმ თანხიდან, რაც პარტნიორებს მიეცემათ საზოგადოების

გაკოტრებულად გამოცხადების შემთხვევაში. ასევე კანონით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მაგრამ, საზოგადოების ხასიათიდან გამომდინარე იგულისხმება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების შეწყვეტა, თუ მის შემადგენლობაში ერთი პარტნიორი დადარჩება. ასეთი პარტნიორი უფლებამოსილია, განსაზღვრული დროის განმავლობაში შეარჩიოს სამეწარმეო საქმიანობის სხვა, მისთვის ხელსაყრელი და კანონით ნებადართული სამართლებრივი ფორმა. აღსანიშნავია, რომ მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეწყდეს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საქმიანობა, თუკი ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია მასზე წესდებით დაკისრებული ვალდებულება.

პარტნიორის გარდაცვალებისას ყოველ შემთხვევაში შეუძლია გახდეს საზოგადოების პარტნიორი, თუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით, ან თუ ყველა პარტნიორი თანხმობას განაცხადებს ამის შესახებ. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ერთ ან რამდენიმე შემთხვევაში შეუძლია გახდეს პარტნიორი. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებაში პარტნიორად შემსვლელი პირი ვალდებულია, სხვა შემთხვევებს გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. საზოგადოების წესდება შეიძლება არ ითვალისწინებდეს კომპენსაციის ვალდებულებას.

## §2. კომანდიტური საზოგადოება

კომანდიტური საზოგადოება, არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით, ეწევა არაერთჯერად და დამოუკიდებელ მეწარმეობას, სადაც ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის (პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორები – კომპლემენტარები). პერსონალურად პასუხისმგებელი პირები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები.

კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების საზოგადოების მოდიფიცირებულ ნაირსახეობას, რომელსაც ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ყავს ორი კატეგორიის პარტნიორი:

ა) კომანდიტი, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მის მიერ შეტანილი საგარანტიო თანხით;

ბ) კომპლემენტარი, ანუ პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორი, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია.

კომანდიტური საზოგადოების სამართლებრივი ფორმა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

- კომანდიტური საზოგადოება არის პარტნიორთა წევრობის საფუძველზე შექმნილი საზოგადოება;

- საზოგადოებას აქვს ერთი საფირმო სახელწოდება, რომელიც შეიცავს მინიმუმ ერთი კომპლემენტარის სახელსა და გვარს;

- საზოგადოებას უნდა ჰყავდეს სულ მცირე ორი პარტნიორი - ერთი კომანდიტი და ერთი კომპლემენტარი. ამასთან, პარტნიორი არ შეიძლება ერთდროულად იყოს კომპლემენტარიც და კომანდიტიც;

კომანდიტური საზოგადოების პრაქტიკული მნიშვნელობა დასავლეთის ქვეყნებში ძალზედ დიდია, სადაც ამ ტიპის საზოგადოებების დიდი ისტორია და ტრადიცია არსებობს და გამოიხატება საოჯახო ან მცირე საწარმოების სახით.

კომანდიტური საზოგადოების მიმართ გამოიყენება კანონის ზოგადი ნაწილის ნორმები, კერძოდ, ნორმები საზოგადოების დაფუძნების, საზოგადოებისა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის და ა. შ. გარდა ამისა, კომპლემენტარების მიმართ გამოიყენება ასევე სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ნორმები.

კონკურენციის აკრძალვის თანახმად, საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს არ აქვთ უფლება, პარტნიორის თანხმობის გარეშე, მისდიონ იმავე საქმიანობას რასაც მისდევს საზოგადოება, ან მიიღონ მონაწილეობა მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორის ან დირექტორის სახით. ვინაიდან კომანდიტები არ განეკუთვნებიან საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს, კონკურენციის აკრძალვა არ ვრცელდება კომანდიტებზე, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გამონაკლისს. როგორც წესი ეს ხდება მაშინ, როდესაც კომანდიტის ყოფნა საზოგადოებაში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა (პიროვნული ან პროფესიული თვისებები და სხვა).

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კომანდიტები არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში. წესდება შეიძლება მათ ამგვარ უფლებამოსილებას ანიჭებდეს, ოღონდ, როგორც წესი, წარმომადგენლობის უფლებამოსილების გარეშე. თუ კომანდიტს წარმომადგენლობის უფლებაც მიენიჭა, მაშინ მასზე გავრცელდება წესები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დირექტორის შესახებ. კომანდიტისათვის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მინიჭება არ ნიშნავს კომპლემენტარისთვის ამგვარი უფლებამოსილების წართმევას.

კომანდიტი საზოგადოებაში შეიძლება საქმიანობდეს შრომის ხელშეკრულების საფუძველზეც. ამიტომ სახელმწიფო საწარმოთა

პრივატიზაციის დროს, სასურველია, საწარმოთა ამ ფორმის გამოყენებაც, კერძოდ, მაშინ როცა ხდება სახელმწიფო საწარმოს პირდაპირი მიყიდვა თანამშრომლებზე.

საზოგადოების წესდებით შეიძლება კომანდიტის უფლება ცალკეული მოქმედებების მიმართ შეიზღუდოს. მაგალითად, კომანდიტს შეიძლება წაერთვას კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ზოგიერთი გარიგების დადებისას, კერძოდ, უძრავი ქონების გასხვისებისას და სხვა.

იმ შემთხვევაში, როცა კომანდიტურ საზოგადოებაში რამდენიმე კომანდიტია, წესდებით შეიძლება კომანდიტების უფლებამოსილების განხორციელება ერთ-ერთ მათგანს დაეკისროს. იმავდროულად, ეს არ ნიშნავს კომანდიტების წილების გაერთიანებას. ამ შემთხვევაში ხდება მხოლოდ უფლებამოსილების განხორციელება ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით. უფლებათა ამგვარი გაერთიანება არ გამოიყენება იმ დროს, როცა ლაპარაკია კომანდიტების პირად უფლებებზე, როგორცაა საზოგადოებიდან გასვლის უფლება და სხვა.

კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომანდიტის პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება საზოგადოებაში მის მიერ განხორციელებული შენატანით, რომელსაც საგარანტიო თანხა ეწოდება. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც საზოგადოების წესდება პირდაპირ არ მიუთითებს საგარანტიო თანხაზე და არც მის ოდენობაზე. ასეთ საზოგადოებაში განსაზღვრულია საზოგადოების კაპიტალი და ამ კაპიტალში თითოეული კომანდიტის პროცენტებში გამოხატული წილი. ამგვარი წილი კაპიტალი მიჩნეულ უნდა იქნეს საგარანტიო თანხად. ამავე დროს აუცილებელია წესდებაში აღინიშნოს, რომ ამ წილის მფლობელი (მფლობელები) წარმოადგენენ კომანდიტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ჩაითვლებიან კომპლემენტარებად და მათი პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე იქნება შეუზღუდავი. თუ კომანდიტს სრულად არ აქვს სეტანილი საგარანტიო თანხა, მაშინ იგი პასუხს აგებს როგორც კომპლემენტარი.

კომანდიტი არ არის ვალდებული უკან დააბრუნოს ის თანხა, რომელიც მან კეთილსინდისიერად და სათანადოდ შედგენილი ბალანსის საფუძველზე მოგების სახით მიიღო. თუ მაინც წარმოიშობა ასეთი ვალდებულება, მაშინ ამგვარი დაბრუნებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება დაეკისრება საზოგადოებას.

თუ კომანდიტურ საზოგადოებაში კომანდიტად შედის კომპლემენტარი, იგი კომანდიტად შესვლამდე არსებული ვალდებულებებისათვის პასუხს აგებს როგორც კომპლემენტარი შეუზღუდავად, პირადად, მთელი თავისი ქონებით. კომანდიტად შესვლა მას არ ათავისუფლებს ძველი ვალების გადახდისაგან, უფრო ზუსტად, ძველი ვალების მიმართ არ გამოიყენება პასუხისმგებლობის შეზღუდვის ინსტიტუტი.

კომანდიტს უფლება აქვს თავისი წილი გაასხვისოს სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე. იგივე წესი გამოიყენება წილის მემკვიდრეობით გადაცემისას. კომანდიტის წილი მიეკუთვნება სამკვიდრო

ქონებას და იგი გადადის მემკვიდრეობით. საზოგადოების წესდება შეიძლება ამ წესის გამონაკლისებს ითვალისწინებდეს. კერძოდ, წილის გასხვისება შეიძლება დამოკიდებული იყოს სხვა პარტნიორების თანხმობაზე, ან პარტნიორებს ჰქონდეთ უპირატესი შესყიდვის უფლება. კომანდიტის წილის გასხვისებისათვის საჭიროა სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება.

### §3. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. იურიდიული პირების აღნიშნული სამართლებრივი ფორმა თანამედროვე საბაზრო და შერეული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში სამეწარმეო საზოგადოებათა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი ფორმის მქონე საზოგადოებები ხასითდება შემდეგი ნიშნებით:

- იგი არის კერძო სამართლის იურიდიული პირი და პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით კრედიტორების წინაშე;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორები პასუხს არ აგებენ საზოგადოების ვალდებულებებზე, ე.ი. კრედიტორებთან ურთიერთობაში პარტნიორი კი არ გამოდის, არამედ საზოგადოება. ოღონდ ის, რაც პარტნიორებმა საზოგადოებაში ჩადეს, ხმარდება საზოგადოების ვალდებულების დაფარვას;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების არსებობა არ არის დამოკიდებული მასში წევრობაზე. პარტნიორის გამოსვლა საზოგადოებიდან ავტომატურად არ იწვევს საზოგადოების დაშლას. ეს განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული სამართლებრივი ფორმის საზოგადოება არის კაპიტალური საზოგადოება, ანუ კაპიტალის გაერთიანების შედეგად შექმნილი საზოგადოება;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას აქვს მმართველობის დამოუკიდებელი ორგანოები - პარტნიორთა კრება, დირექტორატი და საჭიროებისას სამეთვალყურეო საბჭო. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ დირექტორებად და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ პარტნიორები. ისინი შეიძლება იყვნენ გარეშე პირებიც;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დააარსოს როგორც ფიზიკურმა ისე იურიდიულმა პირებმა. საზოგადოების დამფუძნებელი პარნიორი შეიძლება იყოს სახელმწიფოც.

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიძლება დააარსოს ერთმა პირმაც - იქნება ეს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი თუ სახელმწიფო.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, თუმცა მათ შორის განსხვავება არსებობს. სწორედ ეს განსხვავებები იძლევა იმის საფუძველს, რომ პრაქტიკაში უფრო გავრცელებული ფორმა იყოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. აღნიშნული განსხვავებებია:



- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გაცილებით მარტივი ფორმაა, ვიდრე სააქციო საზოგადოება. იმის გამო, რომ სააქციო საზოგადოების კაპიტალი გამოხატულია აქციებში - ფასიან ქაღალდებში, მასზე სახელმწიფოებრივი კონტროლის ბევრი ფორმა და საშუალება გამოიყენება. პირველ რიგში ეს შეეხება საფინანსო კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან, განსაკუთრებით კი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და ბრუნვაზე. ამგვარი კონტროლი არ ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მიმართ;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების მმართველობითი ორგანოთა სისტემა უფრო მარტივი, ვიდრე სააქციო საზოგადოების. ამ უკანასკნელისათვის სავალდებულოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს არსებობა;

- სააქციო საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებათა ნამდვილობისათვის აუცილებელია, რომ კრებას ესწრებოდეს და კრების ოქმს ადგენდეს ნოტარიუსი, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საერთო კრებას არ სჭირდება;

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები უფრო მეტ დამოუკიდებლობას ანიჭებს საზოგადოებას, ვიდრე სააქციო საზოგადოების მომწესრიგებელი ნორმები;

პარტნიორს შეუძლია წილის გასხვისება და მემკვიდრეობით გადაცემა. თუ პარტნიორი თავდაპირველი წილის მისამატებლად შეიძენს სხვა წილს, თითოეული წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. პარტნიორის მიერ წილის დათმობა მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებულ ხელსეკრულებას. სანოტარო დამოწმება ასევე საჭირო შეთანხმებისათვის, რომლითაც წარმოიშობა პარტნიორის ვალდებულება წილის გასხვისების შესახებ. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს წილის გადაცემის სხვა პირობებიც, კერძოდ, გასხვისებისათვის აუცილებელი გახდეს საზოგადოების ნებართვა ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება. საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს პარტნიორთა მიერ შესატანის გარდა დამატებითი შესატანის გადახდაც. დამატებითი შესატანები წილის პროპორციული უნდა იყოს. წესდებით გათვალისწინებული გადასახდელის გაზრდა დაიშვება მხოლოდ დანარჩენი პარტნიორების თანხმობით.

პარტნიორები აკონტროლებენ საზოგადოების ხელმძღვანელობას. დირექტორებმა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ და ნება დართონ გაეცნონ საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს. დირექტორებს შეუძლიათ უარი თქვან ამგვარი ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე, თუ ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება საზოგადოების საწინააღმდეგო მიზნებისთვის გამოიყენოს და ამით საზოგადოებას ან მის მეკავშირე საწარმოს ყარყოფითი შედეგები მოუტანოს. აღნიშნული უარი მოითხოვს პარტნიორთა გადაწყვეტილებას. დირექტორის მიერ ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო, თუ მას განცხადებით მიმართავენ. ასეთი განცხადებით მიმართვის უფლება

აქვს პარტნიორს, რომელსაც უარი ეთქვს ინფორმაციის მიცემასა და წიგნებისა და ჩანაწერების გაცნობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის იურიდიული პირი და მას აქვს დამოუკიდებელი სამათლებრივი მდგომარეობა, ფაქტობრივად, მის უკან დგანან პარტნიორები, რომლებიც მათი წილების შესაბამისად იღებენ გადაწყვეტილებებს საერთო კრებაზე და განსაზღვრავენ საზოგადოების ზოგად პოლიტიკას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორების უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს წილის გასხვისების უფლება. საზოგადოების წილად მიიჩნევა უფლებებისა და მოვალეობის ერთობლიობა, რომელიც პირს აქვს მისი წევრობიდან გამომდინარე. ეს არის საერთო საკუთრების წილის იდენტური ორი გარემოების გამო: ერთი, რომ განისაზღვრება განხორციელებული შესატანის ოდენობის შესაბამისად და გამოიხატება მყარ ნომინალურ ღირებულებაში. ვინაიდან პარტნიორებს საზოგადოების დაფუძნებისას ევალებათ ერთი შესატანის განხორციელება, შესაბამისად, მათ აქვთ მხოლოდ ერთი წილი. რა თქმა უნდა, დასაშვებია დამატებითი წილის შექმნაც, ოღონდ ყველა შექმნილი წილი ინარჩუნებს პირვანდელ დამოუკიდებლობას. საზოგადოებაში წილის ოდენობა განსაზღვრავს პარტნიორების უფლება-მოვალეობების მოცულობას, მაგალითად მოგების მიღების სიდიდე, ხმის უფლების მოცულობა, დამატებითი შესატანის განხორციელების ვალდებულება და ა.შ.

სააქციო საზოგადოების აქციონერებისაგან განსხვავებით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებს არ მიეცემათ წილის დამადასტურებელი რაიმე მოწმობა. ასეთი მოწმობის როლს ასრულებს საზოგადოების წესდება, ან ამონაწერი სამეწამეო რეესტრიდან, რომლის ეგზემპლარი მიეცემა საზოგადოების ყველა პარტნიორს. თუ ასეთი მოწმობა მაინც გაიცა, ის არ იქნება ფასიანი ქაღალდი, არამედ იქნება მხოლოდ მტკიცებულება იმისა, რომ პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორია. ნებისმიერი ფორმით გაცემული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წილის მოწმობა არ წარმოადგენს ფასიან ქაღალდს. ამიტომ ასეთი მოწმობების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში არ გამოიყენება მათი აღდგენის ის წესები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ ტიპის ფასიანი ქაღალდების აღდგენისთვის.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნებისას პარტნიორის წილის ღირებულება გამოიხატება ნომინალურ თანხად. როგორც წესი, იგი არ შეესაბამება წილის რეალურ ღირებულებას. ეს უკანასკნელი სხვა მრავალი ფაქტორით განისაზღვრება. წილის რეალური ღირებულება შეიძლება გაცილებით მეტი ან ნაკლები იყოს წილის ნომინალურ ღირებულებაზე. იგივე წესი ვრცელდება სააქციო საზოგადოების აქციის ღირებულებაზეც.

კანონი პარტნიორს ანიჭებს წილის გასხვისების და მემკვიდრეობით გადაცემის უფლებას. იგი განამტკიცებს წილთა თავისუფალი გასხვისების პრინციპს კანონით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, როგორცაა სანოტარო ფორმა, დანარჩენი პარტნიორების თანხმობა და ა. შ.

წილის გასხვისება ნიშნავს წილის ყოველგვარ გადაცემას სხვა პირის საკუთრებაში ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, დათმობის და სხვა გზით. წილის გასხვისების უფლება აქვს მხოლოდ ამ წილის მესაკუთრეს ან მისგან უფლებამოსილ პირს. პარტნიორის წილის გასხვისების უფლება არ აქვს სხვა პარტნიორს, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებულ წილთა ოდენობისა.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს წილის გასხვისების სხვა შეზღუდვებსაც. წესდებით შეიძლება განმტკიცებული იყოს გასხვისებული წილის კვლავ გამოსყიდვის უფლება ამა თუ იმ პირობის არსებობისას. წესდებით ხშირად განამტკიცებენ ისეთ სემთხვევებს, როცა წილის უპირატესი შესყიდვის უფლება აქვთ დანარჩენ პარტნიორებს ან ერთ-ერთ მათგანს. წილის გასხვისების შეზღუდვის ერთ-ერთი შემთხვევა საოჯახო სამართლით არის გათვალისწინებული. კერძოდ, თუ შეზღუდული პასივისმგებლობის საზოგადოების წილი მეუღლეთა ერთად ცხოვრების განმავლობაშია შეძენილი, იგი წარმოადგენს მეუღლეთა თანასაკუთრებას. ამიტომ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლის თანახმად, ამ წილის გასხვისებისათვის აუცილებელია მეორე მეუღლის თანხმობა. თანხმობისათვის რაიმე სპეციალურ ფორმას კანონი არ ითვალისწინებს. შესაბამისად გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, თანხმობას არ სჭირდება გარიგებისათვის დადგენილი ფორმის დაცვა. იგი შეიძლება ნებისმიერი ფორმით გამოიხატოს: ზეპირად, წერილობით, კონკლუდენტური მოქმედებით და ა. შ. თუ თანხმობა გაცემულია ისეთი გარიგების დადებაზე, რომელმაც შესაძლოა წილის გასხვისებაც გამოიწვიოს, მაშინ თანხმობა წილის გასხვისებაზე გაცემულად ჩაითვლება.

წილის გასხვისების ყველაზე გავრცელებული ფორმაა წილის ნასყიდობა. წილის ნასყიდობა არის უფლებამოსილების ნასყიდობა. წილის გასხვისებით ხდება უფლების გასხვისება, ხოლო შემძენი იკავებს პარტნიორის ადგილს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში. შემძენზე გადადის ყველა ის უფლება-მოვალეობა, რომელიც ძველ პარტნიორს ჰქონდა. საზოგადოებაში წილის შეძენა იმავდროულად ნიშნავს საზოგადოების პარტნიორად გახდომას.

წილის გასხვისების თავისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია წილის გადაცემა მემკვიდრეობით. წილის გადაცემა მემკვიდრეობით რეგულირდება მემკვიდრეობის სამართლით. პარტნიორის გარდაცვალებისას მისი წილი შედის სამკვიდრო მასაში და გადადის მემკვიდრეებზე.

წესდებას არ შეუძლია აკრძალოს წილის მემკვიდრეობითობა, მაგრამ სეუძლია მოაწესრიგოს მემკვიდრეების პარტნიორებად მიღების საკითხი. პარტნიორის გარდაცვალებისას მის მემკვიდრეებზე გადადის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში წევრობა ისეთივე მოცულობითა და ოდენობით, როგორც სამკვიდროს დამტოვებელს ჰქონდა სამკვიდროს გახნისას.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მემკვიდრეს უფლება აქვს მამკვიდრებლის ფუნქციების შესრულებას შეუდგეს მანამ, ვიდრე

მემკვიდრეობა მასზე ოფიციალურად გაფორმდება. თუ მემკვიდრე რამდენიმეა, წილი გადადის მათ საერთო საკუთრებაში.

კანონის თანახმად პარტნიორს უფლება აქვს შეიძინოს რამოდენიმე წილი, ოღონდ ამ დროს ყოველი წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას. წილი ინარჩუნებს თავის დამოუკიდებლობას მაშინაც, როცა რამდენიმე ან ყველა წილი გასხვისების ან მემკვიდრეობის გზით ერთი პირის ხელში გადადის. თუ ყველა წილი ერთი პირის ხელში აღმოჩნდა, მათ გასასხვისებლად საზოგადოების ნებართვა/თანხმობა აღარ არის საჭირო. აღნიშნულის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს თითოეულ წილთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობათა ინდივიდუალიზება. ერთ-ერთი მათგანია წილის ცალკე დაგირავების შესაძლებლობა. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ დაუშვებელია წილთა გაერთიანება. ეს რა თქმა უნდა ნებადართულია, ოღონდ საჭიროა პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება და შესაბამისი ცვლილება წესდებაში.

კანონი ასევე ითვალისწინებს საზოგადოების წილის არა მხოლოდ მთლიანად, არამედ მისი ნაწილობრივი გასხვისების შესაძლებლობასაც. წილის ნაწილი მიიღება საზოგადოების წილის დაყოფით ორ ან რამდენიმე დამოუკიდებელ წილად ისე, რომ მათი ნომინალურ ღირებულებათა ჯამი უნა შეესაბამებოდეს თავდაპირველი წილის ნომინალურ ღირებულებას. წილის სხვაგვარი დაყოფა დაუშვებელია, კერძოდ, წილის დაყოფა ფულად და არაფულად წილებად და ა. შ. წილის გაყოფისას გამოიყენება კანონში გათვალისწინებული წესები, მაგალითად, გაყოფის შედეგად წარმოშობილი შესატანის ოდენობა ათზე უნაშთოდ უნდა იყოფოდეს.

წილის დაყოფის შედეგად წარმოიშობა ორი ან რამოდენიმე დამოუკიდებელი წილი. მათი გასხვისების მიმართ გამოიყენება წილის გასხვისების ზოგადი წესები. წილის ნაწილობრივ გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების ნებართვით. ნებართვა მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორთა კრებაზე და გაფორმდეს წერილობით. ნებართვაში უნდა აღინიშნოს შემძენის პიროვნება, მისი ყველა ის მონაცემი, რაც აუცილებელია საზოგადოების პარტნიორთა რეგისტრაციისათვის, ასევე თანხა, რომელიც შეესაბამება დაუნაწევრებელი შესატანის გაყოფის შედეგად წარმოშობილ თითოეულ წილს.

კანონი აწესრიგებს წილის გასხვისების ფორმასთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, წილის ყოველგვარი გასხვისება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით. გასხვისება, როგორც წესი, ყოველთვის ხდება ხელშეკრულების საფუძველზე, ამიტომ სანოტარო დამოწმება სჭირდება ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზე ხდება წილის გასხვისება. ასევე უნდა გაფორმდეს ის შეთანხმებაც, რომელიც წარმოშობს წილის გასხვისების ვალდებულებას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების წესდება შეიძლება განსაზღვრავდეს წილის გასხვისებისათვის აუცილებელ წინაპირობებს, რომელთა არსებობის დროს შეიძლება წილის გასხვისება. კანონი ასეთ შესაძლო პირობად თვლის საზოგადოების ნებართვას ან პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებას. ნებართვის საგანი შეიძლება იყოს თანხმობის მიცემა როგორც წილის გამსხვისებელი პარტნიორისათვის, ასევე წილის

შემძენისათვის. წესდება შესაძლოა ზოგ პირებს არ აძლევდეს უფლებას შეიძინოს მოცემული საზოგადოების წილი (მაგალითად კრძალავდეს კონკურენტი საზოგადოების პარტნიორისათვის წილის გადაცემას). რიგ შემთხვევაში წილის შეძენა დამოკიდებულია შემძენის მიერ ამა თუ იმ მოვალეობის შესრულებაზე ან შემძენის პიროვნულ თვისებებზე. მაგალითად, პარტნიორობა შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ საზოგადოებაში დირექტორად მუშაობაზე. ასეთ დროს ყოველი ახალ დირექტორი ავტომატურად ხდება პარტნიორი და შესაბამისად წილის მფლობელი. ნებართვის გამცემი შეიძლება იყოს პარტნიორთა კრება, დირექტორატი, ან დირექტორი ერთპიროვნულად.

წილის გასხვისების შეზღუდვის გავრცელებულ შემთხვევას წარმოადგენს დანარჩენი პარტნიორების მხრიდან წილის უპირატესი შესყიდვის უფლება. პარტნიორი თავის მოსაზრებას წილის შეძენის თუ დათმობის თაობაზე გამოთქვამს საზოგადოების პარტნიორთა კრებაზე. თუ პარტნიორთა კრებაზე არ იქნება გამოთქმული პარტნიორის შეხედულება წილის უპირატესი შესყიდვის უფლების დათმობის ან დათმობაზე უარის შესახებ, ხოლო სათანადო კვორუმით მიიღება გადაწყვეტილება შესყიდვის უფლების დათმობის შესახებ, იგულისხმება, რომ პარტნიორს არ გამოუთქვამს სურვილი წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების თაობაზე.

კანონი კრძალავს საკუთარი წილის შეძენას, რაც ნიშნავს, რომ საზოგადოებას არ შეუძლია შეიძინოს თავისი პარტნიორების წილი. ამ აკრძალვის ძირითადი მიზანი არის ის, რომ საზოგადოება არ აშეიძლება იყოს თავისი თავის პარტნიორი. თუ ამგვარი გარიგება მაინც დაიდო, იგი ბათილი იქნება. გარიგების ორივე მხარეს დაუბრუნდება ის, რაც მათ გარიგებით მიიღეს.

წილის გასხვისებას უთანაბრდება წილის დაგირავება, უზუფრუქტიო მისი დატვირთვა, ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებად წილის გამოყენება ან მინდობილ საკუთრებად მისი გადაცემა. ამ დროს გამოიყენება იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია წილის გასხვისებისათვის. იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორის მიერ ხდება წილის გადაცემა სამართავად სხვა პირისათვის დავალების ხელშეკრულების საფუძველზე, საჭირო არაა იგივე წესების გამოყენება, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით წილის გასხვისებისთვისაა საჭირო. ასეთი განმარტება გააკეთა უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან გასვლის საკითხს ცალკე არ არეგულირებს. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ პარტნიორს წილის გასხვისების გზით ნებისმიერ დროს შეუძლია გავიდეს საზოგადოებიდან. კანონი არ კრძალავს პარტნიორისთვის საზოგადოებიდან გასვლას, მაგრამ არც გასვლის წინაპირობებს უწესებს მათ. როგორც წესი საზოგადოებიდან გასვლის წინაპირობად მიიჩნევა მნიშვნელოვანი საფუძველების არსებობა. მნიშვნელოვან საფუძველად კი უნდა ჩაითვალოს ისეთი გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდიან გასვლის მსურველი პარტნიორის დარჩენას საზოგადოებაში და საქმიანობის

გაგრძელებას სხვა პარტნიორებთან ერთად. მართალია წილის გასხვისებით პარტნიორი პრაქტიკულად გადის საზოგადოებიდან, მაგრამ საზოგადოებიდან გასვლის დამოუკიდებელი უფლების არსებობის აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს. ეს აიხსნება იმით, რომ შესაძლოა წილის გასხვისების უფლება საზოგადოების თანხმობით იყოს შეზღუდული და ეს თანხმობა არ გასცეს საზოგადოებამ.

საზოგადოებიდან გასვლის ერთ-ერთი საკმაოდ გავრცელებული მიზეზია საზოგადოების კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება და დამატებითი შესატანის შეტანის შეუძლებლობა პარტნიორის მხრიდან. ამ კატეგორიას განეკუთვნება შემთხვევები, როდესაც პარტნიორს ნაწილობრივ აქვს განხორციელებული დამატებითი შესატანი, ხოლო დარჩენილი ნაწილის შეტანის შესაძლებლობა მას არ გააჩნია. მნიშვნელოვან ნაწილად შეიძლება ასევე ჩაითვალოს საზოგადოების მიერ საქმიანობის პროფილის შეცვლა ან საზოგადოებასთან შერწყმა, რის გამოც პირს აღარ სურს გააგრძელოს პარტნიორობა ამ საზოგადოებაში.

გასვლა ხორციელდება საზოგადოების წინაშე ნების გამოხატვით, რაც, როგორც წესი, გასვლის შესახებ განცხადების შეტანით კეთდება. აღნიშნული განცხადების შეტანა ავტომატურად არ იწვევს პარტნიორის საზოგადოებიდან გასვლას. თუ პარტნიორი საზოგადოებიდან გადის არა წილის გასხვისების გზით, მაშინ წარმოიშობა მისი წილის კომპენსაციის პრობლემა. ბუნებრივია, რომ აღნიშნული კომპენსაციის მოთხოვნის უფლება პარტნიორს აქვს. სადავო შეიძლება გახდეს წილის კომპენსაციის სიდიდე და ფორმა. თუ მხარეები შეთანხმდებიან წილის ფულად კომპენსაციაზე, მაშინ კომპენსაციის სიდიდე განისაზღვრება ამ წილის საბალანსო ან საბაზრო ღირებულებით.

საზოგადოებიდან პარტნიორის გასვლისას წილის კომპენსაციის საკითხს შესაძლოა წესდება დაწვრილებით აწესრიგებდეს და ითვალისწინებდეს შეზღუდვებსაც. მაგრამ ეს არ უნდა იწვევდეს საზოგადოებიდან გასვლის უფლების არსებით შეზღუდვას.

გამსვლელ პარტნიორს უფლება აქვს მოითხოვოს წილის კომპენსაცია და საზოგადოება მას ამაზე უარს ვერ ეტყვის. მაგრამ, საზოგადოება არაა ვალდებული წილის კომპენსაციის სახით დაუბრუნოს გამსვლელ პარტნიორს მის მიერ განხორციელებული არაფულადი შენატანი. თუ საზოგადოებაში წარმოიშობა აზრთა სხვადასხვაობა წილის ნატურით კომპენსაციის თაობაზე, საკითხი უნდა გადაწყდეს ხმათა უმრავლესობით. წილის კომპენსაცია საზოგადოებიდან გასვლის შემთხვევაში დაუშვებელია, თუკი ამით საფრთხე ემუქრება საზოგადოების მთლიან საკუთრებას და მის შემდგომ სამეწარმეო საქმიანობას. აღნიშნულის მიზანი გახლავთ საზოგადოების კრედიტორებისა და ეკონომიკური ურთიერთობების უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დაცვა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასთან პარტნიორის ურთიერთობის გაწყვეტის ერთ-ერთი ფორმაა პარტნიორის გარიცხვა. მართალია კანონი კონკრეტულად მხოლოდ ერთ შემთხვევაში განამტკიცებს პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობას, მაგრამ დასავლეთ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასა და იურიდიულ ლიტერატურაში უდავოდ არის

აღიარებული საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვის შესაძლებლობა. ეს ეხება იმ შემთხვევებს, როცა გარიცხვის შესახებ წესებს საზოგადოების წესდება არ შეიცავს. როცა საზოგადოების წესდება განამტკიცებს საზოგადოებიდან გარიცხვის უფლებას, მაშინ ეს საკითხი ნათელია.

როცა გარიცხვის უფლება წესდებით არაა განმტკიცებული, საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა დაიშვება მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას. ამ უკანასკნელის განსაზღვრა და შეფასება სასამართლოს პრაქტიკის საქმეა, მაგრამ დასავლეთ ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს მაშინ, როცა გასარიცხი პარტნიორის პიროვნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი დარჩენა საზოგადოებაში. საზოგადოებიდან გარიცხვა უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და გამოყენებულ უნდა იქნეს მაშინ, როცა დადასტურდება რომ ამ პარტნიორთან ერთად შეუძლებელია საზოგადოებაში სამიანობის შემდგომი გაგრძელება. მაგალითად საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ ჩათვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან და საკმარის საფუძვლად ის ფაქტი, რომ გასარიცხმა პარტნიორმა სხვა პარტნიორების თანხმობის გარეშე დავალების ხელშეკრულებით გადასცა თავისი წილი სხვა პირს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არ ჩაითვალა გარიცხვისათვის მნიშვნელოვან საფუძვლად ის ფაქტი, რომ პარტნიორი სისტემატურად მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოებს განხადებით, სადაც ამხელდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისა და თანამშრომლების დანაშაულებრივ ქმედებებს. ამ პარტნიორის განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და ერთ-ერთ თანამშრომელს მსჯავრი დაედო საზოგადოების ქონების დატაცებისათვის. ამ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა სააპელაციო სასამართლომ, რომლის აზრითაც „ეს მოქმედებები პარტნიორთა მიმართ ჩასაფრებული პარტნიორის საქციელს ჰგავს, ვიდრე კანონიერების სადარაჯოზე მდგარი კაცისა.“ აღნიშნულის გამო, სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა მორალური და სამიანი პრინციპები იმგვარად განსხვავდება ერთმანეთისგან, რომ მომავალში მათი პარტნიორობა და ერთობლივი სამიანობა შეიძლება ვერ გაგრძელებულიყო და ამ საფუძვლით დააკმაყოფილა საზოგადოების სარჩელი პარტნიორის გარიცხვის თაობაზე.

პარტნიორის გარიცხვის წინაპირობა არის საზოგადოების პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება გარიცხვის შესახებ. გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს ხმათა უბრალო უმრავლესობით. გასარიცხ პარტნიორს ამ დროს ხმის უფლება არ აქვს. საზოგადოებიდან შეიძლება გაირიცხოს რამოდენიმე პარტნიორი.

კანონი განსაზღვრავს პარტნიორთა კრების მოწვევის წესსა და ამ კრების კომპეტენციას. ასევე განამტკიცებს პარტნიორთა უფლებამოსილებას მოიწვიონ რიგგარეშე კრება. კრების მოწვევისას მითითებული უნდა იყოს კრების მიზანი, შესაბამისად, დღის წესრიგი და კრების მოწვევის საფუძველი. თუ კაპიტალის ხუთი პროცენტის მფლობელი პარტნიორების ამ მოწვევას სხვა პარტნიორები ან დირექტორები არ გამოეხმაურებიან, მაშინ ისინი თვითონ იწვევენ ამ კრებას.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ კონტროლი გაუწიონ საზოგადოების ხელმძღვანელობას. ეს კონტროლი შეიძლება განხორციელდეს თითოეული პარტნიორის მიერ, როგორც ინდივიდუალურად, ისე პარტნიორთა კრების მიერ. რაც შეეხება ინდივიდუალურ კონტროლს, ეს არის პარტნიორის უფლება თვალყური ადევნოს საზოგადოების ხელმძღვანელობის საქმიანობას. პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს დირექტორებისაგან ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია არ არის საკმარისი და სრულად ვერ აკმაყოფილებს პარტნიორის მოთხოვნებს, მას შეუძლია გაეცნოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნებსა და სხვა ჩანაწერებს, რომლებსაც ის საჭიროდ მიიჩნევს. იმავდროულად, დირექტორი ვალდებულია პარტნიორს მისცეს ასეთი შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორი უფლებამოსილია მიიღოს საჭირო ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ, კანონი მაინც ანიჭებს დირექტორს უფლებამოსილებას, უარი უთხრას პარტნიორს ამგვარი ინფორმაციის გაცემაზე. კანონი ზუსტად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, თუ როდის შეუძლია დირექტორს არ დააკმაყოფილოს პარტნიორის მოთხოვნა: ა) როცა ეს ინფორმაცია პარტნიორმა შეიძლება გამოიყენოს საზოგადოების საწინააღმდეგოდ და ბ) ამით საზოგადოებას ან მოკავშირე საწარმოს მოუტანოს უარყოფითი შედეგი. დირექტორის მიერ უარის თქმის უფლება მაინც დამოკიდებულია პარტნიორების გადაწყვეტილებაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ საბოლოო ჯამში ინფორმაციის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ პარტნიორები. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ საზოგადოების წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

პარტნიორთა კრება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში მართვის უმაღლესი ორგანოა. მას შეუძლია მიიღოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც საზოგადოებას შეეხება, თვით ლიკვიდაციის ჩათვლით. პარტნიორთა კრების კომპეტენცია განსაზღვრულია კანონით, თუმცა აღნიშნული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. საზოგადოების წესდებამ შეიძლება გაზარდოს ან შეამციროს ეს კომპეტენცია. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა ხდება სწორედ პარტნიორთა საერთო კრებაზე. აღიარებული შეხედულებების თანახმად, რასაც საზღვარგარეთის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაც იზიარებს, დირექტორებს არ აქვთ ამ პრინციპების განსაზღვრის უფლებამოსილება. პარტნიორთა კრების მიერ განსაზღვრული შპს-ის სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, განსახორციელებლად გადაეცემათ დირექტორებს.

პარტნიორთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გაფორმდეს, როგორც პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები. ცნება „პარტნიორთა კრება“ გამოიყენება იმ შემთხვევაშიც როცა საზოგადოებას ერთი პარტნიორი ჰყავს. ამ პარტნიორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს პარტნიორთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებად. აქ საქმე გვაქვს ე. წ. იურიდიულ ფიქციასთან. მაშინაც კი, როცა სახელმწიფო წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ერთადერთ



პარტნიორს, მისი გადაწყვეტილებები შეიძლება გაფორმდეს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებებად.

პარტნიორთა მორიგი კრება უნდა ჩატარდეს სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც. ეს კანონის იმპერატიული ნორმაა. ამ კრებამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საზოგადოების საქმიანობის წლიური შედეგების შესახებ. კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს.

დირექტორებს შეუძლიათ მოწვიონ პარტნიორთა კრება, ყველა პარტნიორისათვის ერთი კვირით ადრე გაგზავნილი დაზღვეული წერილით. წერილში მოცემული უნდა იყოს კრების დღის წესრიგის პროექტი. წერილის მიღებიდან სამი დღის ვადაში პარტნიორს შეუძლია ცვლილება შეიტანოს დღის წესრიგის პროექტში.

პარტნიორთა კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრებახმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორები. თუ კრება არ არის უფლებამოსილი საჭირო ხმების არარსებობის გამო, კრების მომწვევს შეუძლია იმავე დღის წესრიგით კვლავ მოიწვიოს კრება. მეორედ მოწვეული კრება უფლებამოსილია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება პარტნიორთა უმრავლესობა. სხვა დღის წესრიგით კრების ხელმეორედ მოწვევა არ უნდა შეფასდეს კრების განმეორებით მოწვევად. არც სხვა პარტნიორების მიერ იმავე დღის წესრიგით მოწვევა ჩაითვლება კრების განმეორებით მოწვევად მას შემდეგ, რაც კრება კვორუმის არარსებობის გამო ერთხელ უკვე გადაიდო. საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს კრების მოწვევის სხვაგვარ პროცედურას, კერძოდ, ტელეფონით, ფაქსით, ტელეგრაფით და სხვა.

„მეწარმეთა შესახებ„ საქართველოს კანონი პირდაპირ არ მიუთითებს, თუ როგორ უნდა შედგეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საოგადოების პარტნიორთა კრების ოქმი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განსაზღვრა, თუ რა მონაცემებს უნდა შეიცავდეს კრების ოქმი, კერძოდ: იგი „უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ სად და როდის შედგა კრება. მითითებულ ინდა იყოს თუ ვინ ესწრება კრებას და დამსწრე პარტნიორთა რაოდენობა, წესდების შესაბამისად არის თუ არა კრება გადაწყვეტილებაუნარიანი. ოქმში ასევე აღნიშნული უნდა იყოს იმ პარტნიორების ვინაობა, რომლებიც არ ესწრებიან კრებას და უნდა აღინიშნოს დაუსწრებლობის მიზეზებიც. ოქმში მითითებული უნდა იყოს განსახილველი საკითხი და განსახილველ საკითხთან დაკავშირებით პარტნიორთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები; ოქმი მკაფიოდ უნდა ასახავდეს კენჭისყრის შედეგებს და ხელს უნდა აწერდეს თავმჯდომარე. სასურველია კრების მდივნის ხელმოწერაც.“<sup>7</sup> თუ აღნიშნული მოთხოვნები არ არის დაცული, კრების გადაწყვეტილება შეიძლება ჩაითვალოს ბათილად.

გადაწყვეტილების მიღების კანონით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით. ამასთან, კანონი უთითებს თუ რომელ შემთხვევებში უნდა იქნეს უბრალო უმრავლესობა გამოყენებული.

<sup>7</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს - „ასილთემინტერის“ საქმეზე №33/530-02.

რაც შეეხება საზოგადოების წესდებას, იგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ძირითადი დოკუმენტია. მისი მიღება და მასში ცვლილებების შეტანა, ასევე წესდების ახალი რედაქციის მიღება შეიძლება მხოლოდ პარტნიორთა გადაწყვეტილებით. ამასთან ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს ხმათა უბრალო უმრავლესობით და დამოწმდეს სანოტარო წესით.

შპს-ის, როგორც სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის ბუნებრივ გამოხატულებას წარმოადგენს სხვა სამეწარმეო საზოგადოებებში დამფუძნებლად მონაწილეობა, ან ამ საზოგადოებათა წილების შეძენა და ასევე, მათი გასხვისება. წილის ცნებას ამ შემთხვევაში კანონი ფართო გაგებით იყენებს და მასში იგულისხმება აქციებიც. კანონი არ განსაზღვრავს წილის ოდენობას, რომლის შეძენის ან გასხვისებისათვის საჭიროა პარტნიორთა კრების თანხმობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა შემთხვევაში, როცა საზოგადოება აპირებს სხვა საზოგადოების წილთა შეძენას ან გასხვისებას, აუცილებელია ამის შესახებ გადაწყვეტილების მიღება პარტნიორთა კრების მიერ. დირექტორებს დამოუკიდებლად არ აქვთ უფლება საზოგადოების სახელით დადონ ასეთი გარიგებები.

პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება საჭირო იმ შემთხვევაშიც, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იძენს სხვა საწარმოს ან ასხვისებს მას. საწარმოს შეძენაში იგულისხმება არა სხვა საზოგადოების წილთა შეძენა, არამედ საწარმოს, როგორც ობიექტის სამეურნეო კომპლექსის შეძენა ან გასხვისება.

ასევე პარტნიორთა კრების აუცილებელი თანხმობაა საჭირო დირექტორების მიერ იმ გარიგებათა დადებისათვის, რომლებითაც ხდება უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება ან სხვაგვარად დატვირთვა. პარტნიორთა კრების მოწვევა არაა სავალდებულო იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების დირექტორი იმავდროულად წილთა უმრავლესობის მესაკუთრეა და დებს საზოგადოების უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან სხვაგვარად დატვირთვის გარიგებებს. ეს აიხსნება იმით, რომ კანონის მიზანია საზოგადოების პარტნიორთა დაცვა დირექტორების მხრიდან საზოგადოების ქონების შესაძლო ფარული გასხვისების საფრთხისაგან. თუკი საზოგადოების დირექტორი წილთა უმრავლესობის მფლობელია და დებს ამ ქონების გასხვისების გარიგებას, მაშინ ქონების ფარულად გასხვისების საფრთხეც აღარ არსებობს. ამიტომ საქართველოს უზენაესმა სასამართლო სწორად განმარტა, რომ კანონით გათვალისწინებული აღნიშნული წესი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როცა დირექტორი იმავდროულად ხმათა უმრავლესობის მქონე პარტნიორი არ არის<sup>8</sup> ან იგი საერთოდ არ წარმოადგენს საზოგადოების პარტნიორს.

როგორც წესი, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოგება ნაწილდება პარტნიორებს შორის საზოგადოების კაპიტალში მათი წილის შესაბამისად. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა საზოგადოების მოგებაში მონაწილეობენ ის პირებიც, რომლებიც არ წარმოადგენენ საზოგადოების პარტნიორებს. მათ, როგორც წესი განეკუთვნება

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გიულის“ საქმეზე №3/845-01

დირექტორები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები, საზოგადოების წამყვანი სპეციალისტები და ა. შ. ამგვარი მონაწილეობის საფუძვლები შესაძლებელია წესდებით იყოს განსაზღვრული, თუმცა ეს არ არის სავალდებულო. პარტნიორთა კრებას შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება მოგებასა თუ საერთო შემოსავალში ხელმძღვანელ მუშაკთა მონაწილეობის საკითხზე. დიდი ტრადიციების მქონე შპს-ებში არსებობს საპენსიო ფონდებიც, საიდანაც საზოგადოების გამოჩენილ ხელმძღვანელებს ენიშნებათ პენსია. ამ პენსიის დანიშვნისა და ოდენობის განსაზღვრაც შეადგენს პარტნიორთა კრების კომპეტენციას.<sup>9</sup>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაისვას საკითხი დამატებითი შესატანების განხორციელების შესახებ. პარტნიორების მიერ საზოგადოების კაპიტალში დამატებითი შესატანების გადახდა ისეთივე წესით ხდება, როგორც კაპიტალის შევსება საზოგადოების დაფუძნებისას. უმთავრესი აქ ისაა, რომ დამატებითი შესატანების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პარტნიორთა კრებამ და ამის შესახებ უნდა აღნიშნოს საზოგადოების წესდებაში. აღნიშნული შესატანების გადახდა, ბუნებრივია, იწვევს საზოგადოების ქონების გაზრდას. ვინაიდან დამატებითი შესატანები საზოგადოების საკუთრებად გადაიქცევა, პარტნიორებს ცალმხრივად არ აქვთ უფლება მოითხოვონ ამ შესატანების უკან დაბრუნება. დაუშვებელია ასევე უკან დაბრუნების გარანტიის მიცემა. თუმცა დამატებითი შესატანების უკან დაბრუნების შესაძლებლობას კანონი მაინც ითვალისწინებს. ამისთვის აუცილებელია რამდენიმე წინაპირობის არსებობა.

ერთმანეთისგან განასხვავებენ დამატებითი შესატანების უკან დაბრუნების მატერიალურ და ფორმალურ წინაპირობებს: უკან დაბრუნების მატერიალურ წინაპირობას წარმოადგენს საზოგადოების კაპიტალის სრულად შევსება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია დამატებითი შესატანის უკან დაბრუნება. ფორმალური წინაპირობა არის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება დამატებითი შესატანის უკან დაბრუნების შესახებ. დასაშვებია, რომ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება ჰქონდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორატს, თუკი ამის შესახებ აღნიშნულია საზოგადოების წესდებაში.<sup>10</sup>

დირექტორის დანიშვნა, მათი გამოწვევა და ანგარიშების დამტკიცება წარმოადგენს პარტნიორთა კრების მნიშვნელოვან კომპეტენციას. საზოგადოების დირექტორად დანიშვნისათვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს პირის მოქალაქეობას ან იმას, აქვს თუ არა ამ პირს საქართველოში საცხოვრებელი ადგილი ან ცხოვრების უფლება. ასეთ მოთხოვნებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დირექტორად დასანიშნი პირთათვის არ ითვალისწინებს. თუ შპს-ს აქვს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ

<sup>9</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, „სამართალი“, თბილისი 2002, გვ.300.

<sup>10</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, „სამართალი“, თბილისი 2002, გვ.302.

ამ საბჭოს წევრი იმავდროულად არ შეიძლება იყოს საზოგადოების დირექტორი. იმ შემთხვევაში თი სამეთვალყურეო საბჭოს წევრი დააპირებს დირექტორობას, იგი ჯერ უნდა გავიდეს საბჭოს წევრობიდან და შემდეგ დაინიშნოს დირექტორად.

დირექტორად შეიძლება დაინიშნოს როგორც საზოგადოების პარტნიორი, ისე გარეშე პირიც. თუ დირექტორად დაინიშნა საზოგადოების პარტნიორი, ეს არ უშლის მას ხელს მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრების მუშაობაში.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს გარკვეულ პირობებსა და შეზღუდვებს დირექტორად დასანიშნი პირებისათვის, როგორცაა ასაკი, ამა თუ იმ სფეროში მუშაობის გამოცდილება და სხვა.

საზოგადოების დირექტორის დანიშვნის შემდეგ მასთან იდება სასამსახურო ხელშეკრულება და არა შრომითი ხელშეკრულება, ვინაიდან შრომითი ხელშეკრულება იდება საწარმოს ადმონისტრაციასა და მუშაკებს შორის. კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიძლება საზოგადოება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციად და დირექტორი - მუშაკად, ვინაიდან დირექტორი დანიშვნისთანავე ხდება ადმინისტრატორი და შესაბამისად დამსაქმებელი.<sup>11</sup>

დირექტორის დანიშვნა არის სამეწარმეო-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ხდება საზოგადოების მმართველობის ორგანოს შექმნა, ხოლო სასამსახურო ხელშეკრულება ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოებასა და დირექტორს შორის. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა დირექტორების დანიშვნის შემდეგ მასთან არ ხდება სასამსახურო ხელშეკრულების დადება. ეს დარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ დირექტორის სამართლებრივი მდგომარეობა ამ დროს უფრო ნაკლებად არის განსაზღვრული და დაცული, ვიდრე ხელშეკრულების დადებისას. არის შემთხვევები, როცა დანიშვნის აქტის შინაარსი და ხელშეკრულების შინაარსი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამ დროს უპირატესობა უნდა მიენიწოს დადებულ ხელშეკრულებას. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება წესდებაში იყოს აღნიშნული დირექტორის მონაცემები, არ გამორიცხავს იმას, რომ ყოველი ახალი დირექტორი დაინიშნოს წესდებაში ამის აღნიშვნის გარეშე. დირექტორის დანიშვნა პარტნიორთა კრების მიერ ხდება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

პარტნიორთა კრების უფლებამოსილებას წარმოადგენს ასევე დირექტორების გამოწვევა. დირექტორისათვის საწარმოს მართვისა და ქონების განკარგვის უფლების მინიჭების რისკის საკომპენსაციოდ პარტნიორებს ყოველთვის უნდა ჰქონდეთ უფლება ნებისმიერ დროს გაათავისუფლონ დირექტორი. საწარმოს ხელმძღვანელობისას დირექტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის დამოუკიდებლობიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობა ადგენს მისი დანიშვნისა და გამოწვევის განსაკუთრებულ წესს და ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება არა შრომის კანონთა კოდექსი, არამედ მეწარმეთა შესახებ კანონის სპეციალური ნორმები. შპს-ის დირექტორის

<sup>11</sup> ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართალი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2005, გვ. 107.

გამოწვევის საფუძვლები ისეთივეა, როგორც სააქციო საზოგადოების დირექტორების გამოწვევის საფუძვლები.

საზოგადოების წესდებით შეიძლება დირექტორებს დაეკისროთ ზოგიერთი ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომელიც პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება. მაგ: პროკურის გაცემის ან გაუქმების უფლება და ა. შ. ამ შემთხვევაში პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენცია შემოიფარგლება მხოლოდ ამ ინფორმაციის მოსმენით.

შპს-ის დირექტორთა ანგარიშის დამტკიცების დროს გამოყენებულ უნდა იქნეს ის წესები, რაც გათვალისწინებულია სააქციო საზოგადოების დირექტორთა ანგარიშის დამტკიცებისათვის.

პარტნიორთა კრების მიერ გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას და მასზე ვრცელდება სამოქალაქო სამართლის ნორმები გარიგებათა შესახებ, კერძოდ, გარიგების ნამდვილობისა და მისი ბათილობის ნორმები. თითოეული პარტნიორის მიერ კენჭისყრაში მონაწილეობა არის ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია შპს-ის მთლიანი ნების ჩამოყალიბებისკენ. შესაბამისად პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება არის პარტნიორთა ნების გამოვლენის შედეგი, რაც აისახება კრების ოქმში და მას ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.<sup>12</sup>

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს სამეურნეო წლის ბოლოს შესაბამისი მოგების მიღების უფლება. როგორც წესი, საზოგადოების წლიური მოგება ნაწილდება პარტნიორებს შორის. მოგების განაწილება ხდება წილების პროპორციულად.

საზოგადოების წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება პარტნიორთა შორის კი არ განაწილდეს, არამედ ჩაირიცხოს საზოგადოების რეზერვებში და მოხმარდეს საზოგადოების შემდგომ ეკონომიკურ გაძლიერებას. ახლადდაფუძნებულ საზოგადოებებში პარტნიორები, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ამ გზას ირჩევენ. ასევე წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს ხმის უფლების გარეშე წილების არსებობას. ხმის უფლების არსებობა გავლენას არ ახდენს მოგების მიღების უფლებაზე. პარტნიორი, მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მას ხმის უფლების მქონე წილი მოგებაში მონაწილეობს თავისი წილის პროპორციულად.

#### §4. სააქციო საზოგადოება

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად. აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო

<sup>12</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე. მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, „სამართალი“, თბილისი 2002, გვ.305

საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება). სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია, აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით.

იმ საწარმოს აქციების გადაცემა, რომლის აქციათა რეესტრსაც დამოუკიდებელი რეგისტრატორი აწარმოებს, ხდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესების მიხედვით. სხვა შემთხვევებში აქციების გადაცემა ხდება საზოგადოების აქციათა რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული. ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე, ხოლო პრივილეგირებული აქცია არ იძლევა ხმის უფლებას. პრივილეგირებული აქცია უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით.

დივიდენდის ოდენობა და მიღების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით. წესდებით შეიძლება დადგინდეს განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ერთი კლასის აქციები თანაბარი უფლებებით უზრუნველყოფენ მათ მფლობელებს. დივიდენდების უცილობლად გაცემის შეპირება ბათილია.

გარდა ზემოაღნიშნული აქციათა კლასებისა, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, საზოგადოებამ შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობაც. ნებისმიერი კლასის აქციების რაოდენობა, მათთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები და მათი შეცვლის პირობები უნდა აისახოს საზოგადოების წესდებაში, ამ კლასის აქციების განთავსებამდე. აქციების განთავსების შემდეგ განთავსებულ აქციებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობების შეცვლა, ასევე წესდებით გათვალისწინებული ამ კლასის აქციების ცვლილებების წესის შეცვლა დაუშვებელია.

რომელიმე კლასის აქციის (გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო ფასიანი ქაღალდისა) გადაცემა შეიძლება დამოკიდებული იყოს საზოგადოების თანხმობაზე. აქციათა გადაცემაზე საზოგადოების თანხმობის გაცემის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებით, აქციების განთავსებამდე.

სააქციო საზოგადოებას შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდები.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ერთი მხრივ სააქციო საზოგადოების ქონების დაცვა და მეორე მხრივ აქციონერთათვის კანონით მინიჭებული უფლებების განხორციელება. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, აქციონერის ერთადერთი მოვალეობაა, შეიტანოს შესატანი კუთვნილი რაოდენობის აქციების მისაღებად. ბათილია სააქციო საზოგადოების წესდებით აქციონერისათვის კანონით გაუთვალისწინებელი მოვალეობის დაკისრება.

აქციონერების წილი მოგებაში განისაზღვრება აქციათა რაოდენობისა და კლასის შესაბამისად. შესატანები, რომლებიც სრულად არ არის

შეტანილი, მონაწილეობენ მოგების განაწილებაში შენატანის სიდიდის პროპორციულად, თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აქციონერს უფლება აქვს, საერთო კრებაზე დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო მოსთხოვოს განმარტებები დირექტორებსა და სამეთვალყურეო საბჭოს და გამოთქვას თავისი აზრი. თუ მოთხოვნა წერილობით იქნება წარდგენილი საერთო კრებამდე 10 დღით ადრე, მაშინ იგი უნდა შესრულდეს ან განხილულ იქნეს დღის წესრიგის ერთ-ერთ საკითხად. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ საწარმოს არსებითი ინტერესების საფუძველზე, რაც წერილობით უნდა იქნეს დასაბუთებული.

აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს.

ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საწარმოს წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ საწარმოს აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ასეთი მოთხოვნისათვის ითვალისწინებს გარკვეულ პირობას. კერძოდ, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი და შეიცავდეს დღის წესრიგის საკითხებს, რომელთა შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობას და გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საზოგადოების მიზნებსა და საქმიანობის ხასიათთან. ამ შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები ვალდებული არიან, წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ჩაატარონ საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები, ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი უფლებამოსილი არიან შეიტანონ დამატებები აქციონერთა მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგში. ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს რიგგარეშე კრების მოწვევის



მოთხოვნის დაყენების უფლება აქვთ ბოლო კრების ჩატარებიდან არა უადრეს თვისა.

თუ ნებისმიერი კლასის აქციების 5%-ის მფლობელი აქციონერები ან აქციონერთა ჯგუფი (კრების ინიციატორები) მიმართავენ საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნით და ამ კრების ერთადერთი საკითხი არის დირექტორის (დირექტორების), მათ შორის, იმ დირექტორის, რომელიც არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გადაყენების მოთხოვნა, მაშინ კრება ტარდება შემდეგი წესის მიხედვით: თუ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ რიგგარეშე კრების ჩატარების მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში არ იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება, მაშინ ამ კრების ჩატარების უფლება აქვთ კრების ინიციატორებს. ამ შემთხვევაში კრების ინიციატორები საზოგადოების ყველა აქციონერს დაზღვეული წერილით უგზავნიან რიგგარეშე საერთო კრების ჩატარების შესახებ მოსაწვევს დღის წესრიგის ერთადერთი საკითხის მითითებით. დაუშვებელია დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანა. ამ შემთხვევაში რიგგარეშე კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კვორუმი არ შედგა, კრების ინიციატორებს შეუძლიათ კანონით დადგენილი წესით ხელახლა მოიწვიონ კრება არა უადრეს პირველი კრების მოწვევიდან 20 დღისა. აღნიშნული კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ხმათა საერთო რაოდენობის არანაკლებ 75%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ განმეორებით მოწვეულ კრებაზე კვორუმი არ შედგება, კრების ინიციატორებს უფლება აქვთ, მიმართონ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით, რომელიც საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) ავალებს რიგგარეშე კრების გადაწყვეტილების მიღებიდან 3 თვეში ჩატარებას.

გარდა ამისა, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ხმების 5%-ის მფლობელ აქციონერებს უფლება აქვთ, შესაბამისი

მმართველობის ორგანოსგან მოითხოვონ საზოგადოების სახელით დადებული გარიგების ასლები ან/და ინფორმაცია დასადები გარიგებების შესახებ.

აქციონერებს შეუძლიათ თავიანთი ხმის უფლება გამოიყენონ საკუთარი ინტერესებისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოსალოდნელი გადაწყვეტილება ეხება მათთან გარიგების დადებას ან მათი ანგარიშის დამტკიცებას. თუ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სააქციო საზოგადოების დომინანტმა აქციონერმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა სააქციო საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ აქციონერებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება აქციონერი ან ერთად მოქმედ აქციონერთა ჯგუფი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინონ სააქციო საზოგადოების საერთო კრების კენჭისყრის შედეგზე.

თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის

მოთხოვნასთან დაკავშირებით. აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა.<sup>13</sup>

აქციონერს უფლება აქვს, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53.1 მუხლით დადგენილი წესით საზოგადოებას მოსთხოვოს თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა, თუ მან საერთო კრებაზე მხარი არ დაუჭირა ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არსებითად ლახავს აქციონერის უფლებებს, ან ეხება საწარმოს რეორგანიზაციას. საზოგადოების წესდება შეიძლება დეტალურად აწესრიგებდეს აქციების შეფასებასა და გამოსყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებს. საზოგადოებამ, რომელიც აპირებს ამ გადაწყვეტილების მიღებას, შესაბამისი საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებაში დეტალურად უნდა აღწეროს გადასაწყვეტი საკითხი, მასთან დაკავშირებული გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება და მისი განხორციელების

წესი. აღნიშნული გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებიდან 45 დღის განმავლობაში აქციონერს უფლება აქვს, წერილობით მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების გამოსყიდვა. ასეთი მოთხოვნის უფლება არ არსებობს, თუ: აქციონერის მიერ სრულად არ არის შეტანილი ამ აქციების შესაბამისი შესატანი ან, თუ აქციონერმა ეს აქციები შეიძინა ზემოაღნიშნული შეტყობინების დაგზავნის შემდეგ.

აქცია გამოსყიდული უნდა იქნეს მისი საბაზრო ღირებულებით, რომელიც ჩამოყალიბებული იყო შეტყობინების წინა დღეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აქციათა დაბალი ლიკვიდურობის გამო ან სხვა მიზეზებით კანონით დადგენილია აქციათა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის სხვა წესი. ასეთი წესის გამოყენებისას სამეთვალყურეო საბჭომ სათანადოდ უნდა დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება.

სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვეტილება გამოსასყიდი აქციების რაოდენობისა და გამოსყიდვის ფასის შესახებ უნდა მიიღოს აქციონერის მიერ საზოგადოებისათვის საკუთარის აქციების გამოსყიდვის მოთხოვნის

---

<sup>13</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53.

ვადის გასვლიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო აქციების გამოსყიდვის თანხა გადახდილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღისა.

აქციონერს, რომელიც არ ეთანხმება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გამოსყიდვის პირობებს, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში.

მიუხედავად იმისა, რომ აქციონერს აქვს გამოსყიდვის მოთხოვნის უფლება, კანონი სააქციო საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს, კერძოდ, აქციების გამოსყიდვა არ დაიშვება, თუ: ა) აქციების გამოსყიდვისთვის გადასახდელი თანხა აღემატება საკუთარი კაპიტალის 25%-ს; ბ) გამოსყიდვის მომენტში საწარმო აკმაყოფილებს „გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ პირობებს, ანასეთი პირობები შეიძლება წარმოიშვას აქციათა გამოსყიდვის შედეგად.

საზოგადოებას უფლება აქვს, შეიძინოს საკუთარი განთავსებული აქციები (სახაზინო აქციები) და შემდგომში გაასხვისოს თავისი შეხედულებისამებრ. სახაზინო აქციების რაოდენობა არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს განთავსებული აქციების 25%-ს, თუ წესდებით უფრო მცირე ზღვარი არ არის გათვალისწინებული.<sup>14</sup>

თუ აქციონერი ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ აქციონერთა ჯგუფი შეიძენს აქციათა პაკეტს, რის შედეგადაც აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს, იგი ვალდებულია, ამ ფაქტის დადგომიდან არა უგვიანეს 45 დღისა განახორციელოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზება ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვის თაობაზე, ან იმავე ვადაში ჩამოიყვანოს მისი კონტროლის ქვეშ არსებული ხმების საერთო რაოდენობის 1/2-ზე ქვევით. ეს მოთხოვნა არ მოქმედებს, თუ:

<sup>14</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53<sup>1</sup>.

ა) სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტი მყიდველის ხელში აღმოჩნდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული სატენდერო შეთავაზებით, რომელშიც ის ყველა დარჩენილი აქციის გამოსყიდვას სთავაზობდა სხვა აქციონერებს;

ბ) პირი აღნიშნულ აქციებს ფლობს სხვა პირის ან პირების სასარგებლოდ, მათ შორის, საერთაშორისო დეპოზიტარული ხელწერილების გაცემის მიზნით. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვალდებულება ეკისრება პირს ან შეთანხმების საფუძველზე მოქმედ პირთა ჯგუფს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს სააქციო საზოგადოების ხმათა საერთო რაოდენობის 1/2-ზე მეტს.

შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი უნდა დაადგინოს აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ. შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი თითოეული კლასის აქციისათვის არ უნდა იყოს იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა აქციონერმა ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა საზოგადოების ამ კლასის აქციაში. აუდიტორმა ან საბროკერო კომპანიამ უნდა შეადგინოს ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება დოკუმენტურად დადასტურებული გარემოებები, რომელთა საფუძველზედაც შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი დადგინდა. აუდიტორის ან საბროკერო კომპანიის ხარჯებს ანაზღაურებს მყიდველი. იგი ასევე ვალდებულია, თავის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია აქციების ყიდვის თაობაზე მიაწოდოს აუდიტორს ან საბროკერო კომპანიას. აუდიტორი ან საბროკერო კომპანია მთელი თავისი ქონებით აგებს პასუხს იმ ზიანისთვის, რომელიც მან მიაყენა აქციონერს დაუდევრობით ან განზრახ არასწორი შეფასებით.

ზემოაღნიშნული სატენდერო შეთავაზების დასრულებამდე მყიდველს არა აქვს მისი კონტროლის ქვეშ არსებული, 50%-ზე მეტი ხმების საერთო კრებაზე გამოყენების უფლება.<sup>15</sup>

---

<sup>15</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53<sup>2</sup>,54<sup>4</sup>.

თუ აქციების შეძენის შედეგად აქციონერს საკუთრებაში აქვს სააქციო საზოგადოების ხმების 95%-ზე მეტი, მაშინ ამ აქციონერს უფლება აქვს, სამართლიან ფასად გამოსყიდოს სხვა აქციონერთა აქციები.

აქციათა სავალდებულო მიყიდვის შესახებ გადაწყვეტილება გამოაქვს სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. მიყიდველი სასამართლოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 1 თვისა, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში აქვეყნებს თავის განცხადებას აქციათა სავალდებულო მიყიდვის თაობაზე. განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას გამოსყიდვის მიზეზების, პირობებისა და პროცედურების შესახებ.

რეესტრის მწარმოებელი პირი – „რეგისტრატორი“ სასამართლოს მიერ დადგენილ გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღამდე არა უგვიანეს 5 დღისა ყველა ნომინალურ მფლობელს ატყობინებს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღს. გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღიდან აქციათა გამოსყიდვის პროცედურების დასრულებამდე წყდება ამ აქციებთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია, გარდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53<sup>4</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისა. რეგისტრატორი ადგენს გამოსყიდვის სააღრიცხვო თარიღის მდგომარეობით ყველა რეგისტრირებული მფლობელის სიას, მათი ვინაობის, მისამართის და მათ მფლობელობაში არსებულ აქციათა რაოდენობის მითითებით („გამოსყიდვის რეესტრს“) და ყველა აქციას გადააფორმებს მიყიდველის სახელზე. რეგისტრატორის ხარჯებს ანაზღაურებს მიყიდველი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მიყიდველი ყველა დარჩენილი აქციის გამოსასყიდ თანხას განათავსებს დანარჩენ აქციონერთა სასარგებლოდ გახსნილ სპეციალურ ანგარიშზე ბანკში, ცენტრალურ დეპოზიტართან ან საბროკერო კომპანიასთან, რომელსაც მიყიდველი გადასცემს გამოსყიდვის რეესტრს<sup>16</sup>.

---

<sup>16</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 53<sup>4</sup>.

სააქციო საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა საერთო კრება, სადაც აქციონერები ახორციელებენ თავიანთ უფლებებს. აქციონერთა მრავალრიცხოვნობის გათვალისწინებითა და მათი უფლებების უზრუნველსაყოფად კანონი დაწვრილებით აწესრიგებს საერთო კრების მოწვევის პროცედურას.

თუ სააქციო საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში ტარდება მორიგი საერთო კრება, რომელზედაც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა შესაძლო საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება რიგგარეშე საერთო კრება დირექტორების, სამეთვალყურეო საბჭოს ან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში – აქციონერების მოთხოვნით. სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც არ შეიძლება იყოს კრების მოწვევამდე 45 დღეზე ადრე და კრების მოწვევის გამოცხადების თარიღზე გვიან. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ სააღრიცხვო დღისთვის.

საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ხმების 75%-ზე მეტის მფლობელი აქციონერი მიიღებს გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. ეს გადაწყვეტილება კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად. ამ შემთხვევაში დანარჩენ აქციონერებს ეგზავნებათ შეტყობინება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. თუ აღნიშნულ აქციათა რაოდენობას ფლობს ერთ აქციონერზე მეტი, აქციონერთა საერთო კრების ჩატარება სავალდებულოა.

სააქციო საზოგადოების საერთო კრება მოიწვევა საზოგადოების იურიდიულ მისამართზე ან საქართველოს ტერიტორიის ნებისმიერ სხვა ადგილზე, წესდებით განსაზღვრული ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭო ან დირექტორები) მიერ, კრების მოწვევის შესახებ შეტყობინების საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებიდან, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის

სააგენტო, ან აქციონერებისათვის მოსაწვევის გაგზავნიდან 20 დღის შემდეგ. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებასთან ერთად უნდა გამოქვეყნდეს დღის წესრიგი და დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად. კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებას უნდა დაერთოს იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

საზოგადოების ხმის უფლების მქონე აქციათა არანაკლებ 1%-ის მფლობელებს საერთო კრებაზე მოსაწვევი ეგზავნებათ დაზღვეული წერილით. ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო განსაზღვრავს, თუ 1%-ზე ნაკლები როგორი წილის მფლობელს უნდა გაეგზავნოს მოსაწვევი ფოსტით.

საერთო კრების მუშაობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნისას – მოადგილე, მოადგილის არყოფნისას კი – ერთ-ერთი დირექტორი. მათი არყოფნისას კრების თავმჯდომარეს ხმათა უბრალო უმრავლესობით ირჩევს საერთო კრება.

თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, ზემოაღნიშნული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგითა პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ცვლილებები სააქციო საზოგადოების წესდებაში;



ბ) მიიღოს

გადაწყვეტილება

საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის - შემთხვევაში);

დ) მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას –

მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ე) მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია ამ კანონით);

ვ) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

ზ) დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

თ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

ი) აირჩიოს აუდიტორი;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

ლ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შექმნის, გასხვისების (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას. წესდებით შეიძლება ზემოაღნიშნული უფლებამოსილებები გადანაწილდეს სამეთვალყურეო საბჭოზე ან/და დირექტორზე (დირექტორებზე).

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას აქციონერები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ყოველი აქციონერი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას; აქციონერს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია); თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; თუ კანდიდატების რაოდენობა აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობას, სამეთვალყურეო საბჭოს წევრად არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი სავალდებულოს ხდის სამეთვალყურეო საბჭოს შექმნას არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან, თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეოსაბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო. სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 1 წლის ვადით, თუ საერთო კრების გადაწყვეტილებით ან წესდებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. ვადამდე გადარჩევა შესაძლებელია საერთო კრების მიერ

ნებისმიერ დროს. ყოველ წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გადადგეს. თუ წევრის გასვლიდან 6 თვის განმავლობაში არ აირჩა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი, მაშინ სასამართლოს საზოგადოების იურიდიული მისამართის მიხედვით შეუძლია ერთ-ერთი აქციონერის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან დირექტორის განაცხადით დანიშნოს ახალი წევრი, თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. წესდებით შეიძლება განისაზღვროს, რომ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყოს ამ სააქციო საზოგადოების დირექტორი. კომერციულ ბანკებში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის წესები განისაზღვრება „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონით.

საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მოადგილეს. თუ გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მაშინ უნდა გაიმართოს ფარული კენჭისყრა. თუ კანდიდატები ხმების თანაბარ რაოდენობას მიიღებენ, მათ შორის უხუცესი დაინიშნება თავმჯდომარედ. თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს სხდომებს, განსაზღვრავს დღის წესრიგს. ოქმს ადგენს თავმჯდომარე ან სხდომის მდივანი.

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. მოწვევა უნდა გაკეთდეს წერილობით, სულ ცოტა 8 დღით ადრე, სავარაუდო დღის წესრიგით. სამეთვალყურეო საბჭოს წევრები შეიძლება სხვა წევრებით იქნენ წარმოდგენილი, ოღონდ ერთი წევრი – ერთი სხვა წევრით. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას – მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილება უნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილება უნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება

უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას – მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭო: ა) კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას; ბ) ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში; გ) შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა; მას შეუძლია ეს დაავალოს ცალკეულ წევრებს ან განსაზღვრულ ექსპერტებს; დ) იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს; ე) სამეთვალყურეო საბჭო ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას; ცნობაში სამეთვალყურეო საბჭომ უნდა მიუთითოს, თუ როგორ და რა მოცულობით შეამოწმა მან საზოგადოების ხელმძღვანელობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში, წლიური ანგარიშისა და საქმიანობის ანგარიშის რომელი ნაწილი შეამოწმა და გამოიწვია თუ არა ამ შემოწმებებმა საბოლოო შედეგების არსებითი ცვლილებები; ვ) ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს, ასევე მათთან დებს და წყვეტს ხელშეკრულებებს; ზ) იმ საზოგადოებაში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს ხმათა საერთო რაოდენობის 50%-ზე მეტს, დირექტორების დანიშვნა და მათი გამოწვევა სამეთვალყურეო საბჭომ უნდა შეუთანხმოს საზოგადოების ხმების 50%-ზე მეტის მფლობელ აქციონერს. სამეთვალყურეო საბჭოსა და აქციონერებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში დირექტორის დანიშვნისა და გამოწვევის გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს არ შეუძლია შეიტანოს სარჩელი ამ საზოგადოების დირექტორების წინააღმდეგ, თუ იგი თავად არის დირექტორი. ასეთი სარჩელის შეტანა შეუძლია სამეთვალყურეო საბჭოს იმ წევრს, რომელიც არ არის ამ საზოგადოების დირექტორი.

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს: საწარმოს

50%-ზე მეტი წილის შექმნა და გასხვისება; ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია; წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება; ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას (დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ); დირექტორთა უფლებამოსილების ფარგლების დადგენა; ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა; სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა; სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა; საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება; ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა და საერთო კრებისთვის დასამტკიცებლად წარდგენა; საზოგადოების ქონების შექმნის ან გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას; იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ევალებათ დირექტორებს. დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში გამოიყენება ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი. საზოგადოებას სასამართლოში და სხვა ურთიერთობებში წარმომადგენენ დირექტორები. თუმცაღა დირექტორები არ შეიძლება იყვნენ სასამართლოში წარმომადგენლები იმ შემთხვევაში, თუ მათ წინააღმდეგ სარჩელი შეტანილია ამ საზოგადოების მიერ.

დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ იგი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათი წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

არ შეიძლება აქციონერებს მიეცეთ სხვა საზღაური, გარდა საზოგადოების დივიდენდებისა. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აქციონერი, რომელმაც ეს საზღაური მიიღო, ვალდებულია უკან დააბრუნოს იგი ან ფულადი სახით აანაზღაუროს წარმოშობილი ქონებრივი ზარალი. დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ამ პრინციპის დარღვევისათვის საზოგადოების წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. საერთო კრებას არ შეუძლია უარი თქვას ამ უფლების გამოყენებაზე. ეს უფლება შეიძლება გამოიყენონ საზოგადოების კრედიტორებმა, თუ საზოგადოებისაგან არ მიუღიათ თავიანთი მოთხოვნების კომპენსაცია. აქციონერს შეუძლია სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს დირექტორი ან/და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და მიიღოს მისგან ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სააქციო საზოგადოება, ისევე როგორც სხვა სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, შესაძლებელია,

ჩამოყალიბდეს (warmodges, Seiqmnas, daarsdes) დაფუძნების ან რეორგანიზაციის მეშვეობით.<sup>17</sup> საგულისხმოა, რომ `საწარმოს შექმნის ნაცვლად ზოგიერთი ავტორი იყენებს ტერმინს საწარმოს დაარსება~.<sup>18</sup> საწარმოს შექმნა გულისხმობს როგორც მის პირველად შექმნას, ისე მის შექმნას რეორგანიზაციის გზითაც, ხოლო დაარსებაში იგულისხმება მხოლოდ პირველი. ნიშანდობლივია, რომ სს-ის დაარსება არ არის ისეთი ხშირი მოვლენა, როგორც ეს რომელიმე საწარმოს სს-დ გარდაქმნის დროს ხდება. გასული საუკუნის 90-იან წლებში ავსტრიის ფედერაციულ რესპუბლიკაში განსაკუთრებით გავრცელებული იყო სს-ის დაფუძნება გარდაქმნის მეშვეობით. ეს, ალბათ, იმ ფაქტორით იყო განპირობებული, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ბირჟებზე საწარმოთა წილების (აქციების) ყიდვა-გაყიდვის მოთხოვნილება (ავსტრიაში წინა საუკუნის ეს მონაკვეთი ხასიათდება ბირჟებზე სადილერო-საბროკერო კომპანიების მიერ წარმოებული ოპერაციების განსაკუთრებული მოზღვავეებით). სწორედ ამიტომ უკვე დაარსებული, დიდი კაპიტალრეზერვების მქონე საზოგადოებები ყველანაირად ცდილობდნენ, თავიანთი წილები საჯარო ვაჭრობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადათ. მაგალითად, თუკი წარმატებული შპს-ის პარტნიორები მოისურვებენ თავიანთი საწარმოსათვის უკეთესი საინვესტიციო გარემოს მოძიებას, დღის წესრიგში, ვფიქრობთ, უეჭველად უნდა დადგეს ამ საზოგადოების გარდაქმნა ისეთ კორპორაციად, რომლის წილების კოტირება გაცილებით ხელსაყრელად და უკეთესად მოხდება საფონდო თუ სხვა სახის ბირჟებზე. სწორედ ასეთი ტენდენციით უნდა წარმართულიყო პრივატიზაციის შედეგად საქართველოში საწარმოთა სახელმწიფოსაგან გამოსყიდვა და რეორგანიზაცია. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყანა, მეტად არასასურველი გარემოებების გამო, დასავლეთის ქვეყნების ამ რეალობას ასცდა. მართალია, საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი საწარმოს პრივატიზაცია განხორციელდა (და სახელმწიფო

<sup>17</sup> Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen, S. 349.

<sup>18</sup> ქ. ქოქრაშვილი, სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბილისი 2001, გვ 106.

საწარმოთა დიდი ნაწილიც სწორედ სააქციო საზოგადოებებად გარდაიქმნა), მაგრამ საბოლოო ჯამში ბირჟებისა და საინვესტიციო კლიმატის არარსებობამ ყველსათვის ცხადი და სავალალო შედეგი გამოიღო. ამ შედეგს ისიც განაპირობებდა, რომ საწარმოთა პრივატიზების, ანუ მათი განსაზოგადოებრიობის დროს არ მომხდარა რეალური ინვესტიციების დაბანდება და სახელმწიფოს გაყიდული საწარმოების შედეგად არანაირი ფინანსური `ხეირი` არ მიუღია. საწარმოთა უმეტესობის პრივატიზება დახურული პრივატიზაციის საფუძველზე განხორციელდა. იმთავითვე ცხადი იყო, რომ საწარმოთა პრივატიზებას ნიადაგშივე არაკეთილსინდისიერი ზრახვები ედო. საერთოდ, გეგმურ-გუნდური ეკონომიკისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ საწარმოთა `მფლობელები` ძირითადად მათი დირექტორები იყვნენ. ამიტომ პრივატიზებით სწორედ ამ უკანასკნელებმა ისარგებლეს. თავის მხრივ, ისინი მარტონი დარჩნენ იმ უცხო კაპიტალისტურ გარემოსთან, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. გარდა იმისა, რომ ასეთ პრივატიზებულ საწარმოთა ხელმძღვანელი პირები კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედ მოქნილ და პროფესიონალ მენეჯერულ სისტემას ვერანაირად ვერ უწევდნენ კონკურენციას, მათ არც სათანადო სახსრები, ქონება აღმოაჩნდათ იმისათვის, რომ განსაზოგადოებული, კერძო საკუთრებაში გადასული საწარმო რენტაბელურად აემუშავებინათ. შესაბამისად, რეორგანიზაციის გზით ჩამოყალიბებულ საწარმოებს არანაირი ახალი კაპიტალდაბანდება უნახავთ, რაც აუცილებელია სამეწარმეო სულისკვეთების ასამაღლებლად, საზოგადოების გასაჯანსაღებლად და, შესაბამისად, მის კონკურენტუნარიან გარემოში წარსადგენად. სწორედ პრივატიზებულ საწარმოთა ქონებრივი მდგომარეობის საფუძველშივე არასწორმა ფორმირებამ და მდგომარეობამ გამოიწვია ის, რომ ბევრმა მათგანმა (პრივატიზაციის შედეგად შექმნილმა სს-მ) ვერ გაუძლო კონკურენციას (განსაკუთრებით უცხოურს) და გაკოტრების რეჟიმში მოექცა. შეიძლება ითქვას, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში სს-ბები, ძირითადად,



სწორედ პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდნენ, რაც მათი არა დაარსება (ახალი დაფუძნება), არამედ `რეორგანიზაცია` იყო.<sup>19</sup>

## §5. კოოპერატივი

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივებს მიეკუთვნება: ა. ნედლეულის მომპოვებელი კოოპერატივები, რომლებიც ამ ფორმით ნედლეულს მოიპოვებენ საკუთარი წევრებისათვის; ბ. სასოფლო-სამეურნეო ან სარეწაო პროდუქციის ერთობლივი გასაღების კოოპერატივები; გ. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელი და სხვადასხვა საგნების დამამზადებელი და ერთობლივი ხარჯებით მათი რეალიზაციის კოოპერატივები (სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო კოოპერატივები); დ. მასობრივი მოხმარების საქონლის საბითუმო წესით შემძენი და საცალო ვაჭრობით მათი სარეალიზაციო კოოპერატივები; ე. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ან სარეწებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა-წარმოებისა და მათი ერთობლივი გამოყენების კოოპერატივები; ვ. სასოფლო-საკრედიტო კოოპერატივები; ზ. არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებები – საკრედიტო კავშირები. თ. სამომხმარებლო (მრავალდარგოვანი) კოოპერატივები, რომელთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები რეგულირდება "სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ" საქართველოს კანონით.

კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. კოოპერატივის რეგისტრაციის შემდეგ მასში წევრად მისაღებად

<sup>19</sup> ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.

აუცილებელია შესვლის მსურველის მიერ ხელმოწერილი განცხადება კოოპერატივში შესვლის თაობაზე. განცხადება არაორაზროვნად უნდა ასახავდეს კოოპერატივის წევრის ვალდებულებას, რომ იგი წესდების შესაბამისად შეიტანს დადგენილ შესატანს (პაის). თუ წესდებით განსაზღვრულია, რომ კოოპერატივის წევრებმა შეუზღუდავად ან შეზღუდულად საგარანტიო თანხის ოდენობით დამატებითი შესატანები უნდა შეიტანონ, მაშინ განცხადებაში უნდა აღინიშნოს, რომ კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად წევრად შემსვლელები გადაიხდიან დამატებით შესატანს შეუზღუდავად ან წესდებაში დათქმულ საგარანტიო თანხამდე.

ყოველ წევრს აქვს კოოპერატივიდან გასვლის უფლება ამის შესახებ განცხადების საფუძველზე. კოოპერატივიდან გასვლის წესი და პროცედურა განისაზღვრება წესდებით. გამსვლელთან საბოლოო ანგარიშსწორება ხდება გასვლის დღისათვის ბალანსის საფუძველზე. თუ კოოპერატივიდან გასვლა ხდება სამეურნეო წლის განმავლობაში, მაშინ საფუძველად აიღება ბოლო ბალანსი. თუ ვალების დასაფარავად საკმარისი არ არის მთელი ქონება, რეზერვებისა და აქტივების ჩათვლით, მაშინ კოოპერატივიდან გასულმა წევრმა კოოპერატივს უნდა გადაუხადოს თავისი წილი ფულადი თანხიდან. ეს წილი დაიანგარიშება კოოპერატივის წევრთა რაოდენობის მიხედვით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც პაი სრულად გადაიხადეს, გასვლის შემთხვევაში მიეცეთ პაის უკუმოთხოვნის უფლება ამ მიზნით წლიური ნაშთის საფუძველზე შექმნილი რეზერვიდან. ეს მოთხოვნა შეიძლება დამოკიდებული იყოს კოოპერატივის წევრად ყოფნის სტაჟზე ან შესაძლოა წესდება სხვა პირობებსა და მოთხოვნის შეზღუდვებს ითვალისწინებდეს.

კოოპერატივის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს სამეურნეო წლის განმავლობაშიც თავისი პაი წერილობითი შეთანხმებით გადასცეს სხვა პირს და ამით გამოვიდეს კოოპერატივიდან საბოლოო ანგარიშსწორების გარეშე, თუ პრეტენდენტი მის მაგივრად ხდება ან უკვე არის კოოპერატივის წევრი. წესდება შეიძლება კრძალავდეს ან დამატებით პირობებს უყენებდეს ამგვარ

გადაცემას. გამგეობამ ეს შეთანხმება დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრს. პაის გადაცემა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს სიაში შეტანილი გამსხვისებელ წევრთან. გასვლის თარიღად ითვლება რეგისტრაციის დღე.

კოოპერატივის წევრის გარდაცვალებისას წევრობა გადადის მის მემკვიდრეებზე. წევრობა მთავრდება იმ სამეურნეო წლის დასრულებით, როცა მოხდა სამკვიდროს გახსნა. რამდენიმე მემკვიდრეს შეუძლია საერთო კრებაზე ხმის უფლება განახორციელოს ერთი საერთო წარმომადგენლის მეშვეობით. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ კოოპერატივის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში კოოპერატივის წევრი გახდება მისი მემკვიდრე. წესდებით წევრობის გაგრძელება შეიძლება დამოკიდებული გახდეს უფლებამონაცვლის პიროვნულ ფაქტორებზე. რამდენიმე მემკვიდრის მიერ მემკვიდრეობის მიღების შემთხვევაში შეიძლება ასევე გათვალისწინებული იყოს, რომ წევრობა შეწყდება, თუ იგი არ გადაეცემა ერთ-ერთ მემკვიდრეს წესდებით დადგენილ ვადებში.

კოოპერატივის წევრები თავიანთ უფლებებს კოოპერატივის საქმეების გამო ახორციელებენ საერთო კრებაზე, თუ კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს. საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ კანონით ან წესდებით არ არის გათვალისწინებული ხმების უფრო მეტი რაოდენობა ან სხვა დამატებითი მოთხოვნები. არჩევნებისათვის წესდებამ შეიძლება გაითვალისწინოს გამონაკლისი წესი. ყოველ წევრს აქვს თითო ხმა, თუმცადა წესდებით შესაძლებელია დადგინდეს ხმათა განსხვავებული გადანაწილება. წევრს უფლება აქვს, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით განახორციელოს თავისი ხმის უფლება. ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი ფიზიკური პირების ხმის უფლებას, აგრეთვე იურიდიულ პირთა ხმის უფლებას ახორციელებს მათი კანონით გათვალისწინებული წარმომადგენელი. ფიზიკურ პირთა მიერ გაცემული მინდობილობები უნდა დამოწმდეს ნოტარიალურად.

საერთო კრებას იწვევს გამგეობა, თუ წესდებით ან კანონით სხვა პირებიც არ არიან საამისოდ უფლებამოსილი. საერთო კრება, გარდა წესდებითა და ამ კანონით სპეციალურად გათვალისწინებული შემთხვევებისა, მოწვეული უნდა იქნეს წელიწადში ერთხელ მაინც. საერთო კრება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოწვეული, თუ წევრთა 1/10 ან წესდებაში საამისოდ გათვალისწინებული უფრო მცირე ნაწილი მათ მიერ ხელმოწერილ განცხადებაში მოითხოვს კრების მოწვევას კონკრეტული მიზნის მითითებით. თუ მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მაშინ სასამართლოს, რომლის ტერიტორიაზედაც აქვს კოოპერატივს იურიდიული მისამართი, შეუძლია საერთო კრების მოწვევის ან დღის წესრიგის გამოცხადების უფლებამოსილება მიანიჭოს იმ წევრებს, რომლებმაც წამოაყენეს მოთხოვნა. კრების მოწვევაზე ან გამოცხადებაზე სასამართლოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილება უნდა გამოქვეყნდეს.

საერთო კრება მოიწვევა სულ ცოტა 3 კვირის ვადაში საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ანდა წესდებით განსაზღვრულ გაზეთში გამოქვეყნებით. საერთო კრების დღის წესრიგი გამოცხადდება კრების მოწვევისას. იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც არ გამოცხადდება კრებამდე 3 დღით ადრე, გადაწყვეტილებები არ მიიღება. გამონაკლისია გადაწყვეტილებები კრების წარმართვის, აგრეთვე რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შესახებ.

საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე უნდა შედგეს ოქმი. იგი უნდა შეიცავდეს კრების ჩატარების ადგილსა და დღეს, კრების თავმჯდომარის სახელსა და გვარს, აგრეთვე მითითებას კენჭისყრის სახეობისა და შედეგების შესახებ და თავმჯდომარის დადგენილებას გადაწყვეტილების მიღებისა და ოქმის მიმართ სხვა განცხადებების შესახებ. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და გამგეობის დამსწრე წევრები და მას ერთვის კრების მოწვევის მასალები. ყოველ წევრს აქვს უფლება, გაეცნოს საოქმო ჩანაწერს, რომელიც ინახება კოოპერატივში.

საერთო კრება ამტკიცებს წლიურ ბალანსს. იგი იღებს გადაწყვეტილებას წლიური მოგების გამოყენების ან წლიური დანაკლისის

დაფარვის თაობაზე, აგრეთვე გადაწყვეტილებას გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცების შესახებ. საერთო კრება უნდა ჩატარდეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 3 თვის განმავლობაში. წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენება კრების ჩატარებამდე სულ ცოტა 1 კვირით ადრე უნდა გამოიკრას კოოპერატივის ოფისში ან გამგეობის მიერ განსაზღვრულ სხვა ადგილას, რათა წევრები გაეცნონ მათ. ყოველ წევრს აქვს უფლება, საკუთარი ხარჯით მოითხოვოს წლიური ბალანსის, მდგომარეობის შესახებ მოხსენებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მოხსენების ასლები.

მხოლოდ საერთო კრებას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ამასთანავე, გადაწყვეტილება ნოტარიალურად უნდა იქნეს დამოწმებული. თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ცვლილებების შესატანად საჭიროა კენჭისყრაში მონაწილეთა ხმების უბრალო უმრავლესობა. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიძლება იყოს: პაის გაზრდა; რამდენიმე სავალდებულო პაით მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება; დამატებითი შესატანის შეტანის მოვალეობის შემოღება ან გაფართოება; რეზერვებში გამსვლელ წევრთა მონაწილეობის შემოღება ან გაფართოება; რამდენიმე ხმის უფლების დაწესება ან გაფართოება; პაის დაყოფა;

წესდების (პარტნიორთა შეთანხმების) იმ ცვლილებისათვის, რომლითაც შემოღებული ან გაფართოებულია წევრის მოვალეობა კოოპერატივის მოწყობილობების ან სხვა საქმიანობის გამოყენების ანდა სამსახურის შემოღების შესახებ, საჭიროა ხმების 9/10-ის უმრავლესობა. წესდება შეიძლება სხვა მოთხოვნებსაც ითვალისწინებდეს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ კოოპერატივის ადგილსამყოფლის მიხედვით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციამდე აღნიშნულ გადაწყვეტილებას ძალა არა აქვს.

”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონი ითვალისწინებს საერთო კრების უფლებამოსილების მქონე ორგანოს - წარმომადგენელთა კრებას. თუ კოოპერატივის წევრთა რაოდენობა ხუთასზე მეტია, საერთო კრების

ნაცვლად მოიწვევა წარმომადგენელთა კრება. თუ წევრთა რაოდენობა ორასზე მეტია, შეიძლება წესდებით განისაზღვროს, რომ საერთო კრების ნაცვლად ჩატარდეს წარმომადგენელთა კრება. წარმომადგენლად შეიძლება არჩეულ იქნეს ყოველი ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც კოოპერატივის წევრია, მაგრამ არ არის არც გამგეობაში და არც სამეთვალყურეო საბჭოში. წარმომადგენელთა კრება შედგება სულ ცოტა 50 წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ირჩევენ კოოპერატივის წევრები. წარმომადგენლებს არა აქვთ უფლება, თავიანთი უფლებამოსილება სხვა პირებს გადასცენ. ისინი აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით; პირი წარმომადგენლად არ შეიძლება არჩეულ იქნეს ოთხ წელზე მეტი ვადით. წესდებით უნდა განისაზღვროს: რამდენ წევრზე მოდის ერთი წარმომადგენელი; წარმომადგენლობის დრო.

დაწვრილებითი დებულებები არჩევნების წესის შესახებ, შედეგების განსაზღვრის ჩათვლით, შეიძლება ჩამოყალიბდეს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ერთობლივად მიღებულ საარჩევნო დებულებაში. ამისათვის საჭიროა საერთო კრების თანხმობა. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად. ყოველი წარმომადგენლისათვის არჩეული უნდა იქნეს თითო სათადარიგო პირი. თუ წარმომადგენელი განთავისუფლდება ვადის დამთავრებამდე, მაშინ მას შეცვლის სათადარიგო პირი. ეს პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ წარმომადგენელთან ერთად წარმომადგენელთა არჩევნებისათვის დადგენილი წესებით, უფლებამოსილების იმავე ვადით.

არჩეულ წარმომადგენელთა და არჩეულ სათადარიგო პირთა სია 2 კვირის განმავლობაში უნდა იყოს გამოკრული კოოპერატივის ოფისში, რათა წევრები გაეცნონ მას. ამის შესახებ უნდა გამოცხადდეს საქართველოს ერთ-ერთ ოფიციალურ ან წესდებით განსაზღვრულ გაზეთში. სიის გამოკვრის ვადის ათვლა იწყება გამოქვეყნების დღიდან. ყოველ წევრს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიეცეს სიის ასლი.

კოოპერატივს თვითმმართველობის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც ახორციელებს კონტროლს კოოპერატივის გამგეობის საქმიანობაზე და წარმოადგენს კოოპერატივს გამგეობასთან ურთიერთობაში. იგი შედგება საერთო კრების მიერ დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით არჩეული არანაკლებ 3 და არ უმეტეს 15 წევრისაგან. ამასთან, წევრთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს წესდებით. საერთო კრების გადაწყვეტილებით წევრებს უფლება აქვთ, საქმიანობის შედეგებიდან გამომდინარე მიიღონ განსაზღვრული გასამრჯელო. კრებამ შეიძლება გააუქმოს საბჭოს წევრობა საარჩევნო ვადის გასვლამდე. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 3/4.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს არ აქვთ უფლება, იმავდროულად იყვნენ გამგეობის წევრები ან მათი მოადგილეები, ან სხვაგვარად წარმართონ კოოპერატივის საქმეები. გამგეობიდან გასული წევრები მათი ანგარიშის დამტკიცებამდე არ შეიძლება არჩეულ იქნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებად.

ორგორც ზემოთ აღინიშნა სამეთვალყურეო საბჭო კონტროლს უწევს გამგეობას თავისი საქმეების წარმოებაში მართვის ყველა დარგში და ამ მიზნით იღებს ინფორმაციას კოოპერატივის საქმეების მიმდინარეობის შესახებ. მას შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს გამგეობისაგან ანგარიში და უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული პირების მეშვეობით შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები და ჩანაწერები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა. ასევე უნდა შეამოწმოს წლიური ბალანსი, მდგომარეობის შესახებ მოხსენება და წლიური მოგების განაწილების წინადადებები. შემოწმების შედეგები მან უნდა მოახსენოს საერთო კრებას წლიური ბალანსის დამტკიცებამდე.

სამეთვალყურეო საბჭომ კანონით დადგენილი წესით უნდა მოიწვიოს საერთო კრება. სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს წესდებით. ამასთან საბჭოს წევრებს არა აქვთ უფლება, თავიანთი ფუნქციების შესრულება გადააბარონ სხვა პირებს.

საბჭო ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს კოოპერატივი გამგეობასთან ერთად მესამე პირთან ხელშეკრულების დადებისას და წარმართოს პროცესები კოოპერატივის წევრების წინააღმდეგ, თუ ამას დაადგენს საერთო კრება. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა სჭირდება ყოველ კრედიტს, რომელიც მიეცემა გამგეობის რომელიმე წევრს. იგივე წესი მოქმედებს კრედიტის გაცემის შემთხვევაში გამგეობის წევრის თავდებად დადგომისას.

კოოპერატივის გამგეობა წარმოადგენს მმართველობით ორგანოს და წარმოადგენს კოოპერატივს მესამე პირებთან ურთიერთობაში. იგი შედგება არანაკლებ 2 დირექტორისაგან (გამგეობის წევრებისაგან). დირექტორები შეიძლება არ იყვნენ კოოპერატივის წევრები. დირექტორებს ირჩევენ 4 სამეურნეო წლის ვადით, თუ წესდება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

წლიური ანგარიშის დამტკიცებისას კოოპერატივის წევრებისათვის გათვალისწინებული სამეურნეო წლის მოგება ან ზარალი უნაწილდებათ კოოპერატივის წევრებს. პირველი სამეურნეო წლისათვის განაწილება ხდება მათ მიერ შეტანილი შენატანების პროპორციულად, ყოველი მომდევნო წლისათვის კი – მოგების მიმატებით და ზარალის ჩამოწერის გზით წინა სამეურნეო წლის ბოლოსათვის არსებული პაის საერთო თანხის პროპორციულად. მოგების მიმატება გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული პაის ოდენობა. წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს მოგებისა და ზარალის განაწილების სხვა წესებს. "მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით, სანამ არ მიიღწევა ზარალის გამო შემცირებული პაის ოდენობა, მოგება არ განაწილდება. ასევე წესდება ან საერთო კრების დადგენილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ მოგება მთლიანად ან ნაწილობრივ დაერიცხოს რეზერვს.

#### **§6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი**

იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.<sup>20</sup> მას, ისევე როგორც სხვა იურიდიულ პირებს, უფლება აქვს

<sup>20</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 29.



განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. იგი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.<sup>21</sup>

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. დამფუძნებელი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძღოლის უფლებამოსილება ანდა დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაცია და სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს წესდებით (წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სანოტარო წესით დამოწმებას. მის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

იგი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც მიადგა მესამე პირებს ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მიერ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას ისეთი მოქმედების გამო, რომელიც იწვევს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოდეს. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ზიანის

---

<sup>21</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 25, პუნქტი მე-5.

ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია და პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის ვალდებულებებისათვის.

#### **IV. კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაცია**

საქართველოს კანონმდებლობა კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის სამ ფორმას ითვალისწინებს: 1. სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა); 2. საწარმოთა შერწყმა; 3. საწარმოთა გაყოფა.<sup>22</sup> გასათვალისწინებელია, რომ ამ ჩამონათვალში არ შედის რეორგანიზაციის ისეთი აუცილებელი ფორმები, როგორცაა `მიერთება` და `გამოყოფა`. აღნიშნული ფაქტი საკანონმდებლო ხარვეზს წარმოადგენს, რამაც შეიძლება ხშირ შემთხვევაში უარყოფითი გავლენა იქონიოს იურიდიული პირის სტაბილურ განვითარებაზე.

##### **§1. სამართლებრივი ფორმის შეცვლა (გარდაქმნა)**

სამოქალაქო სამართლის სუბიექტთა კერძო ავტონომიის პრინციპიდან გამომდინარე, მეწარმეებს შეუძლიათ თავისუფლად აირჩიონ საწარმოთა სამართლებრივი ფორმები. არჩევანის თავისუფლება მხოლოდ საწარმოთა

<sup>22</sup> «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონი, მუხლი 14.

დაფუძნების დროს არ გამოიყენება, ვინაიდან მეწარმეებს შეუძლიათ საქმიანობის პროცესში შეცვალონ საწარმოს სამართლებრივი ფორმა სხვა, მათთვის სასურველი ფორმით.

საწარმოთა გარდაქმნის შემთხვევები შეიძლება რამოდენიმე ჯგუფად დაიყოს:

- ა. ფორმის შეცვლა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების შიგნით;
- ბ. ამხანაგობის ტიპის საზოგადოებების გარდაქმნა კაპიტალურ საზოგადოებებად;
- გ. ფორმის შეცვლა კაპიტალური ტიპის საზოგადოებების შიგნით;
- დ. კაპიტალური ტიპის საზოგადოებების გარდაქმნა ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებად;

ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებში სამართლებრივი ფორმის შეცვლა პრაქტიკაში ძალიან ხშირია. ეს აიხსნება იმით, რომ ასეთ საზოგადოებებში ერთ-ერთი პარტნიორის გასვლამ ან ახალი პარტნიორის შესვლამ ავტომატურად შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლა. მაგალითად, თუ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მიემატება ახალი პარტნიორი, რომელსაც სურს, რომ მისი პასუხისმგებლობა იყოს შეზღუდული, ცხადია რომ ასეთ შემთხვევაში საზოგადოება უნდა გარდაიქმნას კომანდიტურ საზოგადოებად. ამასთან არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა იწვევს სპს-ში ახალი წევრის კომანდიტად შესვლას. ეს შეიძლება მოხდეს, როდესაც გარდაიცვლება სპს-ის პარტნიორი, ხოლო მის მემკვიდრეებს სურთ საზოგადოებაში კომანდიტად შესვლა. არც ისაა გამორიცხული, რომ პარტნიორებმა თვითონვე მოინდომონ ახალი წევრის მიღება კომანდიტად.

ანალოგიურად შეიძლება მოხდეს კომანდიტური საზოგადოების გარდაქმნა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად. ეს შეიძლება გამოწვეულ იქნეს მაშინ, როდესაც კს-დან გადის კომანდიტი და საზოგადოებაში რჩებიან მხოლოდ კომპლემენტარები. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს კომანდიტის გარიცხვა, ნებაყოფლობით გასვლა, გარდაცვალება ან საზოგადოებაში კომპლემენტარად შესვლის სურვილი<sup>23</sup>.

<sup>23</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბ. 2002, გვ. 284-186.

ზემოაღნიშნული შემთხვევები ავტომატურად იწვევს საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლას. კომანდიტური საზოგადოების სამართლებრივი ფორმის შეცვლა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად მარტივია, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა სპს-ის გარდაქმნა ხდება კს-ად, დაცული უნდა იქნეს რამდენიმე მნიშვნელოვანი პირობა: ა) კომანდიტად შესვლა დაკავშირებულია პასუხისმგებლობის შეზღუდვასთან, ამიტომ წარმოიშობა საგარანტიო თანხის შეტანის ვალდებულება. ბ) ასევე გარდაქმნილი საზოგადოების ფორმა უნდა შეესაბამებოდეს ამ ფორმისათვის კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

გადაწყვეტილება საზოგადოებისათვის სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს პარტნიორთა კრების მიერ.

საწარმოს განვითარების რაღაც ეტაპზე პარტნიორებს შეიძლება აღარ სურდეთ კრედიტორებთან ურთიერთობაში შეუზღუდავად აგონ პასუხი. ამიტომ იღებენ გადაწყვეტილებას, რომ სპს ან კს გარდაიქმნას კაპიტალურ საზოგადოებად. ასეთ შემთხვევაში სპს-ისა და კს-ის მთელი ქონება ავტომატურად გადაიქცევა შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების ან კოოპერატივის ქონებად.

გარდაქმნად ჩაითვლება ასევე შემთხვევები, როცა კაპიტალური ტიპის ერთი საზოგადოება სამართლებრივ ფორმას იცვლის და გარდაიქმნება კაპიტალური ტიპის სხვა საზოგადოებად. პრაქტიკაში ხშირად ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გარდაქმნა სააქციო საზოგადოებად და პირიქით. თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი, სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად.<sup>24</sup>

იმ შემთხვევაში, როცა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება გარდაიქმნება სააქციო საზოგადოებად, პარტნიორების

---

<sup>24</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.11 მუხლი.

წილობრივი მონაწილეობა, როგორც წესი, უცვლელად რჩება და იმავე ნომინალური ღირებულებით დაფიქსირდება ახალი საზოგადოების წესდებაში, რაც ყველაზე მარტივი გზაა ამგვარი გარდაქმნისათვის.<sup>25</sup>

ამ ფორმის რეორგანიზაციისას ხდება საწარმოს სამართლებრივი ფორმის შეცვლის რეგისტრაცია (რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა)<sup>26</sup> და არა ახალი საწარმოს დაფუძნების რეგისტრაცია.

ანალოგიურად ხორციელდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების გარდაქმნა კოოპერატივად და პირიქით.

კანონი ასევე ითვალისწინებს კაპიტალური საზოგადოებების გარდაქმნას ამხანაგობის ტიპის საზოგადოებებად. ასეთი გარდაქმნის დროსაც ძველი საზოგადოების პარტნიორები ავტომატურად ხდებიან ახალი საზოგადოების პარტნიორები, მათი წილობრივი მონაწილეობის შეუცვლელად ან შეცვლით. ასევე კაპიტალური ტიპის საზოგადოების კაპიტალი ავტომატურად გარდაიქმნება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან კომანდიტური საზოგადოების ქონებად.

ასეთი გარდაქმნის დროს ყველაზე მნიშვნელოვანია პარტნიორების პასუხისმგებლობის საკითხი ახალ საზოგადოებაში, ვინაიდან კაპიტალური ტიპის საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობისაგან განსხვავებით, ამხანაგობის ტიპის საზოგადოებაში მათი პასუხისმგებლობა გაცილებით სერიოზული ხდება. ამიტომ ასეთი გარდაქმნა ყოველთვის დაკავშირებულია დიდ პიროვნულ რისკთან. ასევე გასათვალისწინებელია იმ პარტნიორთა საკითხის გადაწყვეტა, რომლებმაც არ დაუჭირეს მხარი ასეთ გარდაქმნას, მაგრამ უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ასეთ პარტნიორებს აქვთ არჩევანის უფლება - ან დარჩებიან ახალ საზოგადოებაში, ან მოითხოვენ საკუთარი წილის, აქციის კომპენსაციას, რისი ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება ახალ საზოგადოებას.

გადაწყვეტილება საწარმოთა სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ უნდა მიიღოს პარტნიორთა კრებამ და მასში მითითებული უნდა

<sup>25</sup> ლ. ჭანტურია, თ. ნინიძე, მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, თბ. 2002, გვ. 286-188.

<sup>26</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 14.16 მუხლი.

იყოს: ა) პარტნიორთა მიერ არჩეული ახალი სამართლებრივი ფორმა; ბ) ფორმის შეცვლის შედეგად წარმოშობილი საზოგადოების საფირმო სახელწოდება; გ) ახალ საზოგადოებაში მონაწილე პარტნიორების მონაცემები; დ) თითოეული პარტნიორის წილის ოდენობა და სახეები; ე) წილის კომპენსაციის წესი და პირობები იმ პარტნიორებისათვის, რომლებმაც არ მოისურვეს ახალ საზოგადოებაში პარტნიორად ყოფნა; ვ) ახალი საზოგადოების წესდების შესახებ.

გარდაქმნის შედეგად წარმოშობილი საზოგადოება გარდაქმნილი საზოგადოების უფლებამონაცვლეა და პასუხს აგებს ყველა იმ ვალდებულებებზე, რომელიც ძველ საზოგადოებას ჰქონდა. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის დადგენა ახალი ფორმისათვის კანონით გათვალისწინებული წესების დაცვით ხდება, რაც შეიძლება ხშირ შემთხვევაში კრედიტორებისათვის არ იყოს სასიამოვნო. ამიტომ კანონი ასევე ითვალისწინებს გარდაქმნისათვის სპეციალურ ვადებსა და სამართლებრივი ფორმის შეცვლის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას პრესაში.

## §2. საწარმოთა შერწყმა

საწარმოთა შერწყმის საკითხი ძალიან აქტუალურად დგას საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მძლავრი კონკურენციის არსებობის გამო, საწარმოები ხშირად იძულებულნი არიან შეუერთდნენ სხვას, ან ორი საწარმო გაერთიანდეს. რაც უფრო იზრდება კონკურენცია, მით უფრო ნაკლებია პატარა საწარმოების გადარჩენის შანსი, რაც განაპირობებს საწარმოთა შერწყმის საკითხის აქტუალობას.

საწარმოთა შერწყმა სამეწარმეო საქმიანობის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია და მის შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს,<sup>27</sup> რომლის თანახმადაც საწარმოებს შეუძლიათ გაერთიანდნენ (შერწყმა). სააქციო საზოგადოებაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და კოოპერატივში შერწყმის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმის უფლების მქონე

<sup>27</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14.12 მუხლი.

პარტნიორის (პარტნიორთა) ხმების 75%, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი გადაწყვეტილება მიიღება ერთხმად, თუ იურიდიული პირის წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს, ერთი საწარმო უერთდება მეორეს თუ ორი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ. შერწყმის შესახებ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს პარტნიორთა უფლება-მოვალეობანი, თუ ისინი არ ხელმძღვანელობენ კაპიტალში მათი წილის პროპორციულობის პრინციპით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ერთმანეთისაგან განვასხვაოთ შერწყმის ორი ფორმა: ერთი, როცა საწარმო უერთდება მეორეს და მეორე, როცა ორი დამოუკიდებელი საწარმო ერთიანდება ერთ ახალ საწარმოდ.

საწარმოთა შერწყმა ხორციელდება გასაერთიანებელ საწარმოთა შორის შერწყმის ხელშეკრულების დადებით, რომელსაც ხელს აწერენ გასაერთიანებელი საწარმოების ხელმძღვანელები თუ არსებობს პარტნიორთა ხმების კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო რაოდენობა.

საწარმოთა შერწყმის შედეგად გაერთიანებული საწარმოები წყვეტენ არსებობას, ე. ი. როგორც სამართლის სუბიექტები აღარ არსებობენ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ხდება მიერთება. ამ დროს არსებობას წყვეტს მიერთებული, ხოლო ის საწარმო რომელმაც მიიერთა, განაგრძობს არსებობას.

ეკონომიკურ ურთიერთობაში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის მიზნით, შერწყმის დროს კანონი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ საწარმო, რომელმაც საწარმო მიიერთა, ან ახალშექმნილი საწარმო, არის ადრინდელი საწარმოს (საწარმოების) უფლებამონაცვლე.<sup>28</sup>

### §3. საწარმოთა გაყოფა

საწარმოთა რეორგანიზაციის გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საწარმოთა გაყოფა. ხშირ შემთხვევაში ეს ხდება, როდესაც საწარმო

<sup>28</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14.12 მუხლი.

ერთდროულად მისდევს რამოდენიმე სახის საქმიანობას, რის გამოც მისი ორგანიზაციულად მართვა გართულებულია.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საწარმო შეიძლება გაიყოს ორ ან ორზე მეტ საწარმოდ და მათ საქმიანობა გააგრძელონ, როგორც დამოუკიდებელმა საწარმოებმა საკუთარი სამართლებრივი ფორმით. გაყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ ადრინდელი პარტნიორები გაყოფის შედეგად წარმოქმნილ საწარმოში მონაწილეობდნენ სხვადასხვა წილობრივ საფუძველზე. ამ შემთხვევაში წარმოქმნილი საწარმოები სოლიდარულად აგებენ პასუხს თავდაპირველი საწარმოს გაყოფამდე არსებული ვალდებულებებისათვის.<sup>29</sup>

იურიდიული პირის როგორც გაყოფა, ასევე გამოყოფა შეიძლება განხორციელდეს როგორც ახალი საწარმოს დაფუძნებით, ისე უკვე არსებული საწარმოებისათვის მიერთებით. ამ შემთხვევაში გაყოფის მომწესრიგებელ ნორმებთან ერთად გამოიყენება შერწყმის მომწესრიგებელი ნორმებიც. შესაძლებელია ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის საწარმოს გაყოფა და შესაბამისად ნებისმიერი საწარმოს დაფუძნება.

იურიდიული პირის გაყოფის დროს ერთი საწარმო იყოფა რამოდენიმე სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტად და თავდაპირველი იურიდიული პირი წყვეტს თავის არსებობას. ვინაიდან გაყოფას შედეგად მოყვება იურიდიული პირის ლიკვიდაცია, გადაწყვეტილება რეორგანიზაციის ამ ფორმის შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს საწარმოთა ლიკვიდაციისათვის გათვალისწინებული ხმების უმრავლესობით.

გაყოფის შედეგად წარმოქმნილი საწარმოები უნდა შეესაბამებოდნენ მოცემული სამართლებრივი ფორმისათვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს და უნდა მოხდეს მათი ცალ-ცალკე, როგორც ახალი საწარმოების რეგისტრაცია.

გამოყოფისას ძველი საწარმო არსებობას არ წყვეტს, არამედ მისგან ცალ-ცალკე გამოდის საწარმოო ერთეული და ერთი ან რამოდენიმე საწარმოს

---

<sup>29</sup> „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, 14.13 მუხლი.



სახით ცალკე ფუნქცია. როგორც წესი, ძველი პარტნიორების წილობრივი მონაწილეობა გამოყოფის შედეგად შექმნილ საწარმოებში უცვლელი რჩება.

საწარმოს გაყოფისათვის საწარმოო ერთეულის არსებობა აუცილებელია იმიტომ, რომ მას უკავშირდება კრედიტორებთან ვალდებულებითი ურთიერთობები. უფლებამონაცვლეობის საკითხი საწარმოს გაყოფისას უფრო რთულია, ვიდრე შერწყმის ან გარდაქმნისას. გაყოფის შედეგად ახალ საწარმოებზე გადადის არა მხოლოდ ქონება, არამედ მასთან დაკავშირებული უფლებებიცა და მოვალეობებიც. განსაკუთრებით ეს ეხება ვალდებულებით ურთიერთობებს, ამიტომ ამ შემთხვევაში კრედიტორების ინტერესები მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული.

უფრო რთულია უფლებამონაცვლეობის საკითხი, როცა საწარმო იყოფა ორ ან რამოდენიმე საწარმოდ ისე, რომ თავად წყვეტს არსებობას. იმ შემთხვევაში როცა ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე მარტივია იმის განსაზღვრა თუ რომელ რომელ საწარმოზე გადავიდა ვალდებულებები, კითხვაზე თუ რომელი საწარმო ჩაითვლება უფლებამონაცვლედ, პასუხის გაცემა იოლია. მაგრამ გაცილებით უფრო რთულდება საქმე, როცა ამის გარკვევა ძნელია და ახალ საწარმოებს არ სურთ იყვნენ უფლებამონაცვლეები. ამიტომ საწარმოს გაყოფის დროს, როცა ხდება ძველი საწარმოს ლიკვიდაცია, გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმები საწარმოთა ლიკვიდაციის წესის შესახებ, რათა კრედიტორებს მიეცეთ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი - გააგრძელონ ვალდებულებითი ურთიერთობები თუ შეწყვიტონ ისინი.

მიუხედავად საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ კანონმდებლობაში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა უფლებამონაცვლეობის საკითხთან მიმართებაში. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, რეორგანიზებული ან რეორგანიზაციის შედეგად ახლადწარმოქმნილი იურიდიული პირი არის ადრინდელის უფლებამონაცვლე, ხოლო „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიული პირის შერწყმის, მიერთების ან გამოყოფის შემთხვევაში მისი უფლება ლიცენზიაზე გადადის მის სამართალმემკვიდრეზე.“ ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს „უფლებამონაცვლეობასთან“, ხოლო მეორე შემთხვევაში ”სამართალმემკვიდრეობასთან“. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი ორი საკანონმდებლო აქტი ანალოგიურ საკითხებს არეგულირებს განსხვავებული ხასიათის მქონე ტერმინებით, რაც მიზანშეუწონლად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კანონების მიზნიდან გამომდინარე, ხსენებულ ტერმინებში იგულისხმება ერთი და იგივე სამართლებრივი შედეგი. ამ პრობლემის აქტუალურობის გამოკვეთის მიზნით, საჭიროა ”უფლებამონაცვლეობასა“ და ”სამართალმემკვიდრეობას“ შორის არსებითი მნიშვნელობის მქონე განსხვავებაზე საუბარი.

განსხვავება მდგომარეობს ამ ორი საკანონმდებლო ტერმინის ხასიათში. კერძოდ, სამართალმემკვიდრეობის დროს სამართალმემკვიდრეს „გადაეცემა“ უფლება-მოვალეობები, ხოლო უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში უფლებამონაცვლეზე ავტომატურად „გადადის“ ადრინდელი საწარმოს როგორც უფლებები, ისე ვალდებულებები. აღნიშნულ განსხვავებას არსებითი მნიშვნელობა აქვს და ხშირ შემთხვევაში პირდაპირ უკავშირდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს. მაგალითად, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით: „საქმიანობის ლიცენზიის მემკვიდრეობით ან სხვა სახით გადაცემა დაუშვებელია“. აქედან გამომდინარე, თუ საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიული პირი განახორციელებს რეორგანიზაციას და რეორგანიზებულ ან რეორგანიზაციის შედეგად ახლადწარმოქმნილ იურიდიულ პირს ვუწოდებთ „სამართალმემკვიდრეს“, ამ უკანასკნელს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არ გადაეცემა საქმიანობის ლიცენზია. აღნიშნული გამოიწვევს იურიდიულ პირის მიერ ლიცენზირებადი საქმიანობის შეწყვეტას, რამაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს როგორც

კრედიტორთა ინტერესებს, ასევე საწარმოს სტაბილურობას ეკონომიკურ ურთიერთობაში. ხოლო, თუ საქმიანობის ლიცენზიის მქონე იურიდიული პირი განახორციელებს რეორგანიზაციას და რეორგანიზებულ ან რეორგანიზაციის შედეგად ახლადწარმოქმნილ იურიდიულ პირს ვუწოდებთ „უფლებამონაცვლეს“, ზემოთ ხსენებული პრობლემა მოიხსნება, ვინაიდან უფლებამონაცვლეს ადრინდელი იურიდიული პირის უფლებამოვალეობები კი არ „გადაეცემა“, არამედ მასზე ავტომატურად „გადადის“. შესაბამისად, აღნიშნული კანონის შეზღუდვა საქმიანობის ლიცენზიის გადაცემასთან დაკავშირებით ამ შემთხვევაში არ არსებობს.

## V დასკვნა

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომში საუბარი გვექონდა კერძო სამართლის იურიდიული პირების ცნებაზე, მათ დაფუძნებასა და ლიკვიდაციაზე, ასევე სამართლებრივ ფორმებზე, რამაც სხვადასხვა სამართლებრივი ფორმის მქონე იურიდიული პირებში საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გაანალიზების საშუალება მოგვცა. აღნიშნული საკითხების დაწვრილებით განხილვასა და გაანალიზებას არსებითი მნიშვნელობა აქვს და პირდაპირ არის დაკავშირებული კერძო სამართლის იურიდიული პირების რეორგანიზაციის თავისებურებების წარმოჩენასთან.

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებებმა კიდევ უფრო ცხადყო იურიდიული პირის, როგორც სამართლის სუბიექტის მნიშვნელობა. კერძოდ, იურიდიული პირი შეიძლება სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორად, ხოლო კომანდიტურ საზოგადოებაში კომპლემენტარად მოგვევლინოს. ამ ცვლილებებიდან გამომდინარე, პარტნიორი იურიდიული პირის ლიკვიდაცია შეიძლება გახდეს იურიდიული პირის რეორგანიზაციის საფუძველი. ამიტომ, ამ უკანასკნელის კრედიტორებს აუცილებლად უნდა ეცნობოთ პარტნიორი იურიდიული პირის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ,

რათა კრედიტორებს მიეცეთ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი - გააგრძელონ ვალდებულებითი ურთიერთობები თუ შეწყვიტონ ისინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, იურიდიული პირისადმი ნდობის ხარისხი კიდევ უფრო გაიზარდა. ამიტომ, ჩემი აზრით, ქართული კანონის ის რეფორმა, რომელზედაც ნაშრომშია საუბარი, უდავოდ პროგრესულ ელემენტებს მოიცავს.

ნაშრომში ასევე განხილულია უფლებამონაცვლების საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ ურთიერთობაში სტაბილურობის უზრუნველყოფისა და კრედიტორთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ამ კუთხით აღსანიშნავია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომლის თანახმად, რეორგანიზებული იურიდიული პირი ან რეორგანიზაციის შედეგად ახალშექმნილი იურიდიული პირი არის ადრინდელის უფლებამონაცვლე.

### სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გუგუშვილი გ. (2020), შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საკანდიდატო დისერტაცია, გურამ თავართქილაძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი, თბილისი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გამომცემლობა „სამართალი“ 2002.
3. ჭანტურია ლ. ნინიძე.თ მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი, მე-3 გამოცემა, „სამართალი“, თბილისი 2002

4. ქოქრაშვილი ქ. სამეწარმეო სამართალი, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი 2005,
5. ქოქრაშვილი.ქ. სამეწარმეო სამართლის შესავალი, თბილისი 2001
6. კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში. ტომი II, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, 2001
7. ი. ბურდული, ქონებრივი ურთიერთობა სააქციო საზოგადოებაში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.

#### **უცხოენოვანი ლიტერატურა**

8. Fritz, Gesellschafts- und Unternehmensformen
9. Canaris:Verfassungs- und europarechtliche Aspekte der Vertragsfreiheit in der Privatrechtsgesellschaft, FS Lerche, S. 873 ff.
10. Международное Частное Право, под. ред. Г. К. Дмитриевой, Москва, 2004,
11. UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996), with additional article 5 bis as adopted in 1998.

#### **სამართლებრივი აქტები:**

12. საქართველოს კონსტიტუცია
13. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“
14. საქართველოს „სამოქალაქო კოდექსი“

#### **სასამართლო გადაწყვეტილებები:**

15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მაისის განჩინება შპს - „ასილთემინტერის“ საქმეზე №3კ //530-02.
16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება შპს „გიულის“ საქმეზე №3კ/845-01

#### **ინტერნეტრესურსი:**

17. <https://matsne.gov.ge/>
18. <http://parliament.ge/ge/>
19. <http://www.supremecourt.ge/>